საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 1 სექტემბერი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი [illegible] 10 მანეთი განცხადების ფასი ხირვვლ გვ[illegible] [illegible] სტრიქონი 15 მანეთი. [illegible] გვერ[illegible] 10 მანეთი [illegible] განცხადება ჩვეულებ[illegible] [illegible] (15 × 2) 300 მანეთი [illegible] [illegible] რედაქცია და კანტორა იმყოფება:
ერთობის ქ. № 4. [illegible] ქუჩის № 18-თან, ტელეფონი 16—62.

ТИФЛИССКИЙ ФИЛИАЛ БИБЛИОТЕКА ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

№ 198 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 198

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ღრმათ დამწუხრებული დედა ეფემია, ძმები: მიხეილ და კირილე და კატო კალანდაძეები, სიძე ტარიელ, დის შვილები: ნიკიტა, ვანო, შალვა და კესარია მგელაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 29 აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

**ლადიკო დიანოსის ძე კალანდაძე**

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ხიდისთავში (გურია) ხუთშაბათს 2 სექტემბერს 2 საათზე. (2802 2—2)

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ოთხშაბათს 1 სექტემბერს დილის 11 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი დაუვიწყარის

**ნატალია (ნატო) მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლის**

სულის მოსახსენებლად გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო. (28 5 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამი, ძმა ვლადიმერი და ცოლი ლია, ბიძები კონსტანტინე და მიხეილი რაზმაძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ჰაერში ფრენის დროს 28 აგვისტოს უდროოდ გამოესალმა თავის წუთისოფელს და გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სამხედრო მფრინავი

**პროკოფი თევდორის ძე პილტავა**

რომლის დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 1-ლ ენკენისთვეს, გამოასვენებენ (ნათლუღი, ფერმლის ქ. № 1—81) 2 საათზე, სამხედრო სობორის ტაძარში და იქიდან დიდუბის სასაფლაოზე. (2818 1—1)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ეფროსინე (ფროსო) ალმასხანის ასული და დიმიტრი სამსონის ძე თოფურიძენი აცნობებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ მათი ძვირფასი ქალიშვილის მე 7-ე კლასის მოწაფის

**გაიანეს**

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 4 სექტემბერს, ამა წლისას, შაბათს დილის 10 საათზე, ვაზაზის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2819 1—1)

966

**ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა**

იწვევს საგნების და ენების სრულ უფლებიან მასწავლებლებს ჩოხატაურის სამაზრო გიმნაზიისთვის, აგრეთვე იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს მაზრის საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებისათვის. მასწავლებლები მიიღებენ (გიმნაზიაში გარდა შტატის ჯამაგირისა, ბინას და გათბობა-განათებას. თხოვნები, საბუთები უნდა გამოიგზავნოს ოზურგეთში, სამაზრო ერობის გამგეობაში. (ნ. 5—3)

**დამფუძნებელნი დასავ. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა ქ. ქუთაისში**

ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 15 ივლისს

**ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა**

ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანათ არის განსაზღვრული ოცი მილიონი მანეთით (20,000,000 მ.). თითო აქცია ღირს ათასი მანეთი (1000 მ.). ოცი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ ერთდროულათ ორმოცდა ათი მანეთი (50 მან.) თითო აქციაზე.

ხელის მოწერა მიიღება 4 სექტემბრამდე შემდეგ ბანკებში.

ქუთაისში: სამეურნეო სამრეწველო და საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში.

თფილისში: ცენტრალურ ბანკში, ამიერ-კავკასიის ბანკში და სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში.

ბათომში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში.

ფოთში: ქართულ სავაჭრო ბანკში.

ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში, ზუგდიდში და ხონში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში. (ნ. 4—3)

**საოჯახო სასადილო საზ. „იმედი“**

აწყდის ნოეიერ ორ ხელ სადილ 80 მან. კერძობლივი, ბარათებით. არის უფეყველვარი სასმელები.

**სამზარეულო მოწყობილია საუცხოვოდ**

დილის 8 საათ. საღამოს 6 საათ.

**ყავა, ჩაი, კაკაო, ნაყინები, მაწონი, ხაჭაპური და პიროჟკები**

**ფასები ყველაფერზე ხელმისაწდომია**

**საჯარო შეჯიბრება**

ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს,

**რომ ორშაბათს 6 ენკენისთვეს**

ა. წ. ქ. ბორჯომში სამმართველოს კანტორის ბინაზე დილის 10 ს. დანიშნულია

**ზეპირი შეჯიბრება**

ლიკანის ბაღში ხეხილ ს მოსავლის იჯარით გაცემაზე. შეჯიბრება დაიწყება 100 ათას მანეთიდან. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ ევალებათ სამმართველოს სალაროში წინდაწინ შეიტანონ ერთი მესამედი შეფასებულ თანხისა. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე სამმართველოში. (ნ. 3—2)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

**მ. ი. ვოლოხი**

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—ო.)

## კერძო ინიციატივის გამო

ყოველ კრიზისს ჩვენი ფინანსიურ ეკონომიური მდგომარეობისა, რომელსაც არა მცირედ უწყობენ ხელს კერძო ინიციატივის ხელთა მპყრობელნი თავის აღვირ-ახსნილი სპეკულიანტობით, მათი იდეოლოგები იყენებენ სოციალისტურ მთავრობაზე და საზოგადოებრივ წარმოებაზე თავდასხმათ. განსაკუთრებით აბრაზებს ამ ვაჭრატონებს ის გარემოება, რომ მათ შეიძლება ჩამოართვან ქონება იმ შეფასების კვალობაზე, რომლის მიხედვით გაწერილია მათზე გადასახადი.

ძალიან უყვართ ამ კანონის განქიქება. იგი ითვლება ამ ვაჭრულ წრეებში მთელი ქვეყნის დამღუპველად და გამანადგურებლად. ნამდვილათ კი იგი წარმოადგენს არა სოციალისტურ ექსპერიმენტს, არამედ უბრალო დემოკრატიულ კანონს, რომლის ანალოგიური არა ერთი მოიპოვება სხვა, სრულიად არა სოციალისტურ, დემოკრატიულ ქვეყნებში და სის იქ ოდნავათაც არ უშლის ხელს არც წარმოების განვითარებას, არც ვაჭრობა-აღებ მიცემობას, არც კერძო ინიციატივის გამოჩენას. ერთათ ერთი საგანი, რასაც ეს კანონი ხელს უშლის —ეს გახლავთ საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე თავის მოვალეობის დავიწყება,— თავის ქონების ღირებულების დამალვა—გადასახადების შემცირების მიზნით.

და ეს სენი—საზოგადოებრივ წყობილებით შექმნილ კეთილდღეობით სარგებლობა, ხოლო მისი სამსახურისაგან თავის დაღწევათ სისტემატიური ზრუნვა—თავის უძირო ჯიბის სასარგებლოთ დღემდე დამახასიათებელი დარჩა ჩვენი საზოგადოების იმ წრეებისათვის, რომელნიც ასე უჩივიან „იძულებით“ ჩამორთმევის კანონს.

ახლაც, როცა ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის სერიოზულ კრიზისს განიცდის და ყოველი საზოგადოებრივი ინტერესებით გამჭვალული პირი, თუ ჯგუფი უნდა ცდილობდეს საერთო კეთილდღეობის აღსადგენად, ისევ გამოაქვეყნეს ეს ბრძოლა ამ „იძულებით ჩამორთმევის“ წინააღმდეგ და მაშასადამე მოთხოვნა ფულიანი საზოგადოებისათვის უსაზღვრო ექსპლოატაციის და სახელმწიფოს აბუჩათ აგდების დაკანონებისა.

სხვაგვარათ არ შეიძლება გავიგოთ ეს მოთხოვნა.

თქვენ ართმევთ მხოლოდ ქონებას კერძო პირებს, წუწუნებენ ბურჟუაზიის დამცველნი. და ერთხელაც არ წამოცდენიათ თუნდა მცირედი რჩევა მიეცათ იმ გამაძღარ სპეკულიანტებისთვის, რომ მათ თავის ქონება ნორმალურად შეეფასებინათ და მილიონის საღირალი საგადასახადოთ ასი ათასათ არ მოეჩვენებინათ.

ნორმალურად დაფასებულ ქონებას სახელმწიფო და ვერც ერობა ხომ ჩალის ფასათ ვერ ჩამოართმევს? ხომ იძულებული იქნება მისი ნამდვილი ღირებულება მისცეს პატრონს? დიახ იძულებული იქნება. მაგრამ სწორეთ ეს არ სურთ მესაკუთრეთა უმდიდრეს ნაწილს. სახელმწიფოს არაფერი მისცენ, მისგან კი უზრუნველყოფილი იყონ. ასეთია ამ ვაჭრუკანების ლოზუნგი. ჩვენ არ შეგვხვედრია ჯერ შემთხვევა, რომ მათ ახლათ აღორძინებულ ერობისთვის რაიმე დახმარება აღმოეჩინოს, ან მათი კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობისთვის ხელისშემწყობ პირობების შექმნაზე ეზრუნოსთ, პირიქით, ერობას ისე უყურებენ, როგორც მოპირდაპირე ძალას, რომელიც უნდათ სათავეშივე მოჰკლან, ყოველ შემთხვევაში მისი მეთაურთა და ხელმძღვანელთა მუშაობა ხელფეხ შებოჭვილნი ამყოფონ.

ამ მტრულ განწყობილებას და ვალდასახადების გაუღებლობის სურვილს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ერობები იძულებული ხდებიან 11 ივლისის კანონით ისარგებლონ.

და ჩვენ უნდა აღვიაროთ, სანამ ასეთი მტრული განწყობილება შეიცვლება, არც ერობას ექნება საშუალება სხვა გზით იმოღვაწოს და ხალხს ემსახუროს.

ერობას და ქალაქს არაფერი არ ჩამოურთმევიათ დღემდე არა საზოგადოებრივი მიზნით, და არა საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. და ეს საჭიროებანი იმდენათ თვალსაჩინო და ნათელი ყოფილა, და ჩამორთმევა იმდენად აუცილებელი, რომ ხმოსანთა ყველა ფრაქციები, თვით მათი წარმომადგენლებიც კი, რომელნიც დღეს ამ კანონს თავს ესხმიან, სასურველად და სასარგებლოდ თვლიდენ ამ კანონით სარგებლობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც. დღემდე „იძულებითი ჩამორთმევის“ წესით არც ერთი სამრეწველო ხასიათის უძრავი ქონება არ ყოფილა ვისმესგან ჩამორთმეული. მრეწველობა სრულიად ხელშეუხებელი იყო და არის.

მაგრამ რათ არ ხედავს ამას კერძო ინიციატივა? რათ არ უწევს ანგარიშს? ცხადია რათ მას ურჩევნია საშინაო-ლიაციო კაპიტალის დატრიალება საწარმოვო შრომის უღელში ჩაბმას. მას ურჩევნია თავის ჯიბეს მეტი მისცეს და ქვეყანა წყალს გაატანოს, ვინემ მოგების უსაზღვროებას რამდენიმეთ საზღვარი დაუდვას და ერს სიმდიდრის შექმნაში ხელი შეუწყოს.

აი ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი ჩვენში კერძო ინიციატივის სისუსტისა იქ, სადაც იგი საჭიროა, ე. ი. წარმოებაში, და სიმძლავრისა იქ, სადაც იგი საზოგადოებისათვის მავნებელია—სპეკულიაციის სფეროში.

ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ეკონომიურ აღორძინების საქმეშიაც იმედი გვაქვს მხოლოდ საზოგადოებრივი თაოსნობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახელმწიფოებრივ მუშაობის.

როგორც პოლიტიკურათ შექმნეს მათ ხალხური სახელმწიფო, წინააღმდეგ მაღალი კლასების სისინისა, ისე ეკონომიურათაც აღადგენენ მას წინააღმდეგ სპეკულიანტური ჭანით გატაცებულ წრეებისა.

## საეკონომიო-საფინანსო წერილები *)

### VII.

**კომუნის წილი სხვა გადასახადებში**

რეალური გადასახადები თვითმმართველობათა ხელში შესამჩნევ რესურსს წარმოადგენენ, მაგრამ თვითმმართველობათა სამოქმედო ასპარეზი ფართო და რთულია და თანდათან ისე რთულდება, რომ მარტო რეალური გადასახადები არაა საკმარისი კომუნის მოღვაწეობის სათანადო სიმაღლეზედ დასაყენებლად; ამისათვის საჭიროა კომუნას მიენიჭოს ნაწილი სხვა არა რეალური გადასახადისაც. უკვე აღნიშნული იყო, რომ სახ. გადასახადის [illegible] სარგებლობს ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობით. უკანასკნელის მიერ შექმნილი ღირებულებანი თუ საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მეტად სასარგებლონი არიან ვიდრე დანარჩენებისათვის, ეს არ მოასწავებს, რომ ის, ვისაც სხვასთან შედარებით ნაკლები სარგებლობა აქვს, თავისუფალი იყოს ყოველივე მოვალეობისაგან. ამრიგად გარდა სამსახურ-სამაგიეროს პრინციპისა კომუნას სრული უფლება აქვს ისარგებლოს მოქალაქეთა ხარჯთგადახდის უნარიანობის პრინციპებითაც. ასეთ პრინციპზე დამყარებულ გადასახადებით სარგებლობა კომუნათათვის მით უფრო სამართლიანია, რომ ისინი საშუალებას მოკლებული არიან ისარგებლონ არაპირდაპირი გადასახადებით, რომელთაც დღესდღეობით მაინც უპირველესი ადგილი უჭირავთ სახელმწიფოს ბიუჯეტში. მხოლოდ კომუნათა მოღვაწეობით შეუძლებელია გამართლებულ იქნას ხარჯთგადახდის უნარიანობის მიხედვით კომუნის სასარგებლოთ დაბეგვრა. ხარჯთგადახდის უნარიანობის შექმნაში პირველობა სახელმწიფოს მოღვაწეობას ეკუთვნის, მაგრამ თვით სახელმწიფოს მოღვაწეობა ხომ ერთნაირი სინთეზია თვითმმართველობათა (კომუნათა) მოღვაწეობისა. ძნელად მოინახება სახელმწიფოს ისეთი ფუნქცია, რომლის შესრულებაში ყველას ან ზოგიერთ კომუნას არ ედვას წილი. აქედან აშკარაა, რომ თვითმმართველობა ეწევა თავის ფარგლებში ფართო სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას და კომუნას წილი უნდა იქნეს ერის მიერ აღებულ ყოველგვარ გადასახადში, თუ ამას მოითხოვს კომუნის ფინანსიური მდგომარეობა.

### VIII.

**საერთო გადასახადი.**

ხარჯთგადახდის უნარიანობის პრინციპზე დამყარებული დაბეგვრის საუკეთესო სისტემათ უნდა ჩაითვალოს პირადი გადასახადი საერთო შემოსავლის კვალობაზე. დაბეგვრის ასეთი ფორმა ცდილობს სათვალავში ჩააგდოს ფიზიკური თუ იურიდიული პიროვნების ყოველნაირი შემოსავალი. ამ სისტემას თეორიულად მაინც გათვალისწინებული აქვს სრული ხარჯთ გადახდის უნარიანობა ამა თუ იმ პიროვნებისა. ხარჯთ გადახდის უნარიანობის საზომათ მიღებულია პირადი შემოსავალი. პირად შემოსავლად იგულისხმება საერთოდ წლიური შემოსავალი, ე. ი. ჯამი იმ წმინდა შემოსავლისა, რომელიც გადამხდელს აქვს კაპიტალისაგან, რენტისა, ადგილ-მამულისა, შენობათა, ვაჭრობა-მრეწველობისა და სამსახურისაგან, საერთოდ ყველა წყაროებისაგან, რომელნიც რაიმე შემოსავალს აძლევს პიროვნებას. მაშასადამე, პრინციპალურად პირადი საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადით იბეგრება პიროვნების როგორც უძრავ მოძრავი ქონების შემოსავალი, ისე მისი პირადი გარჯილობის შემოსავალიც, როგორც მუდმივი, სანდო და განსაზღვრული, ისე დროებითი, არა სანდო და განუსაზღვრელი შემოსავალი. იგი არ ეხება მხოლოდ შემთხვევით წყაროებს, როგორიც მაგალითად არის: მემკვიდრეობა, ნაბოძვარი, ლოტარეის მოგება, რაც იბეგრება განსაკუთრებულად. შემოსავლის კვალობაზე დაბეგვრის შემოღების დროს კანონი ცდილობს გადამხდელის ქეშმარიტი შემოსავალი რაც შეიძლება მეტის სისწორით გამოარკვიოს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გამოირიცხვა საერთო შემოსავლის ჯამიდან იმ ხარჯებისა, რომელიც იძულებულია გასწიოს გადამხდელმა თავის ქონების შესაძენათ, მოსავლელათ, შესანახავად და უზრუნველსაყოფად, აგრეთვე გამოირიცხება ხოლმე ვალის პროცენტებიც. საერთოდ საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს შესაძლებელი სისწორით გადამხდელის ყოველგვარი პირადი გარემოება. „საერთო შემოსავლის კვალობაზე გადასახადი“, ამბობს პროფ. ებერგი, „თავისი იდეით მაღლა სდგას დაბეგვრის ყოველ ფორმაზე; მხოლოდ და მხოლოდ მას ძალუძს გადამხდელის პირად გარემოებათა მხედველობაში მიღება და მისი ხარჯთგადახდის უნარიანობის შესაბამათ დაბეგვრა“. ასეთი სისტემა სხვა სისტემებზე უფრო შეეგუება ხოლმე შემოსავლის ცვალებადობას და მისი აკრებაც შედარებით უფრო იაფი ჯდება. პროგრესიულობის საკითხიც აქ უფრო მარტივათ და ადვილად გადასაწყვეტია. მაგრამ მიუხედავათ თეორიულ უნაკლულობისა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ცხოვრებაში გატარება ძნელია. ამ სისტემის სუსტი მხარე მდგომარეობს გადამხდელის პირადი შემოსავლის დანამდვილებით გამოკვლევის სიძნელეში. შემოსავლის გამოკვლევა უმთავრესად ხდება ოფიციალური შეფასების გზით ან გადამხდელის ჩვენების-დეკლარაციის მიხედვით. უფრო ხშირად მიმართავენ ხოლმე ორივე საშუალებას. პირადი შემოსავლის გამოსარკვევად მაინც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს დეკლარაციას იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება. მაგრამ მცხოვრებთა დიდი ნაწილი თავის ქონებისა და შრომის შემოსავალს ნატურით ხმარობს და შეჩვეული არ არის წესიერი ანგარიშების წარმოებას, ამიტომ თავის შემოსავლის რაოდენობის ჩვენებას სინამდვილით ვერ ახერხებს; ან კიდევ: საზოგადოების საგრძნობი ნაწილი არ ეკიდება კეთილსინდისიერად თავის მოვალეობას და ცდილობს დამალოს ნაწილი შემოსავლისა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეორე გარემოებას და სახელმწიფოს დიდი მუშაობა სჭირია. ამ მხრით მეტად საინტერესოა პრუსიის პრაქტიკა. პირველ ხანებში შემოსავლის გამორკვევა ხდებოდა მთავრობის კომისიების მიერ. 1819 წ. კომისიის მიერ შეფასების მაგიერ შემოღებულ იქნა დეკლარაციის სისტემა. ყოველი მოქალაქე, რომლის შემოსავალი აღემატება 3000 მარკას, ვალდებული იყო ეჩვენებინა თავისი შემოსავალი ცალ-ცალკე: კაპიტალიდან, მიწისა და იჯარისა, ვაჭრობა მრეწველობისა და სხვა წყაროებიდან, ამ სისტემის ნაყოფიერება და უპირატესობა მალე აშკარა გახდა: 1891—2 წ. კომისიების შეფასებით 3000 მან. შემოსავლიან პირთა შემოსავლის საერთო ჯამი მთელ პრუსიაში უდრიდა 1887 მილ. მარკას, 1892—3 წ. კი დეკლარაციის დახმარებით იმავე პირთა შემოსავლის საერთო ჯამი აღმოჩნდა 3812 მილ. მ. ე. ი. 30 % მეტი. მაგრამ მხოლოდ დეკლარაციაზე დამყარება ჯერ შეუძლებელია, მას შემოწმება უნდა. 1897—98 წ, 425 ათას დეკლარაციიდან 141 ათასი ე. ი. 31 % არა სარწმუნო აღმოჩნდა. ცრუ დეკლარაციების მიწოდება ისჯება ჯარიმებით.

დ. თოფურიძე.

*) იხ „ერთობა“, №№ 161, 174, 197.

## მეორე ინტერნაციონალის კონგრესი ჟენევაში*)

31 ივლისს ჟენევაში გაიხსნა მეორე სოციალისტურ ინტერნაციონალის კონგრესი. დაესწრო 150-მდე დელეგატი. საფრანგეთის წარმომადგენლები არიან: დეპუტატები რონზე და სიბრიო, გაზ. „თავისუფალ საფრანგეთის“ რედაქტორი ჟერმონ ლევი, მაშელი, ვალო და [illegible] კულუარებში შეიძლება რენოდელის დანახვა, რომელიც ამტკიცებს, რომ ის სიტყვას წარმოსთქვამს. გერმანიის დელეგაცია ჯერ არ შეკრებილა სრულად. შეიდემანი და მისი ამხანაგები ბერლინში დარჩენ, რადგანაც რეიხსტაგის სესია ჯერ არ შეწყვეტილა.

რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის წარმომადგენლებმა— რუბინოვიჩმა და სუხომლინოვმა მოსკოვიდან ცენტრალურ კომიტეტისაგან მანდატი მიიღეს მხოლოდ საჭირო განცხადების გაკეთების უფლებით, კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა კი არ შეუძლიანთ.

ავსტრიის სოც.-დემოკრატიამ არ მოისურვა დელეგატების გამოგზავნა.

ამერიკელი სოციალისტებიც არ ჩამოსულან.

შვეიცარიიდან ჩამოვიდა რამდენიმე დელეგატი—გრიტლიანელები.

იტალიიდან ჩამოვიდენ საკმაოდ ბევრი ე. წ. გაერთიანებულ სოციალისტებისაგან.

კონგრესის გახსნისას დიდი სიტყვები არ წარმოუთქვამთ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ინგლისის წარმომადგენელი თომას შოუ (ვანდერველდე იქ არ იყო). შოუმ თავის სიტყვაში სთქვა, რომ ევროპის საერთო მდგომარეობა კვლავინდებურათ სერიოზულია. საჭიროა სოციალისტებმა ბოლო მოუღონ ურთიერთ შორის უთანხმოებას და მონაწილეობა მიიღონ ევროპის ეკონომიურათ აღორძინებაში. შემდეგ აღნიშნა, რომ ის დიქტატურის მომხრე არ არის და განაცხადა, რომ თავს იკავებს რუსეთის ყოველგვარ კრიტიკისაგან. დასასრულ შოუმ სთხოვა კონგრესს, რომ იმის პასუხის მგებლობის საკითხის განხილვის დროს თავი შეიკავონ ურთიერთისადმი საყვედურებისაგან. იმედს გამოსთქვამს, რომ წარსული ხელს ვერ შეუშლის გაერთიანებას და სურვილს გამოსთქვამს, რომ ამ საკითხზე მოკლე რეზოლუციები იქნეს მიღებული.

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მდივანი კამილლ გიუსმანსი კონგრესს აუწყებს, რომ შესდგა 4 კომისია რომელთაც დაევალათ დაამუშაონ საკითხები: საერთო პოლიტიკის, ომის პასუხისმგებლობის, პოლიტიკურ სისტემების, სოციალიზაციის, დიქტატურის და სხ. შესახებ.

კამილ გიუსმანსი შეჩერდა ინტერნაციონალის მოქმედებაზე ლიუცერნის შემდეგ და მდივნობიდან გადადგომის სურვილს აცხადებს. ის დაჟინებით მოითხოვს, რომ მთავარიმდივნის მოვალეობანი ინგლისის მუშათა პარტიის დელეგატს დააკისრონ.

საფრანგეთის დელეგაციის წევრი ჟერომ ლევი, ბელგიელ დელეგატებთან ერთად წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით სცენ პატივი სახალხო ტრიბუნის ჟორესის ხსოვნას.

შემდეგი დრო მოუნდა კომისიათა მუშაობას.

სამანდატო კომისიაში დიდი კამათი გამოიწვია ბელგიელ დელეგატის ვან რასეს ბრიუკის განცხადებამ, რომელიც წინააღმდეგი იყო საფრანგეთის დელეგაციის მანდატის ცნობისა, რომელიც, მისი აზრით, გამოგზავნილია საფრანგეთის სოციალისტების სულ უმცირეს ნაწილისაგან.

მეორე ბელგიელი დელეგატი გიუსმანსი წინააღმდეგია ამ წინადადების; საფრანგეთის დელეგაცია ენერგიულ პროტესტს აცხადებს მისი განცხადების გამო. კომისია წინადადებას იძლევა საფრანგეთის დელეგაციას მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება მისცენ.

იბრიომ და ჟერომმა განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიანთ მიემხრონ ასეთ დადგენილებას. „ჩვენ წარმომადგენლები ვართ საფრანგეთის სოციალისტებისა პარლამენტში, შრომის საერთო კონფედერაციაში და პრესაში. ჩვენ მივმართავთ კონგრესს ორშაბათს დილის სხდომაზე“. ამ სიტყვებით დელეგატები დარბაზს სტოვებენ.

კომისია ერთხმად ღებულობს ვანრასეს ბრიუკის წინადადებას. მაგრამ საეჭვოა, რომ კონგრესმა ეს გაიზიაროს.

ცხარე კამათი გაიმართა აგრეთვე „ომისთვის პასუხისმგებლობის“ კომისიაში, რომელსაც თავმჯდომარეობს ჰოლანდიელი დელეგატი ვლიჩენი.

ბელგიელები და ფრანგები მხარს უჭერენ ვანდერველდეს მოხსენებას, რომელშიაც ომის გაგრძელების პასუხისმგებლობა გერმანიის სოც.-დემოკრატიას ედება. ბოლოს აირჩიეს მცირე კომისია, სადაც შევიდნენ: ვანკოლი (ჰოლანდია), რონზე (საფრანგეთი), ლოფუნტენი (ბელგია) გილი (ინგლისი), ბრაუნი (გერმანია), ენგბერგი (შვეცია) საერთო შთაბეჭდილება ასეთია, რომ გერმანიის დელეგატები ნიადაგს ეძებენ შესარიგებლად რონზე თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ამ კომისიაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ საფრანგეთის დელეგაციას კონგრესზე დაუშვებენ.

დღეს საღამოს სხდომაზე მცირე კომისიამ ერთხმად მიიღო რონზეს წინადადება, რომელიც საფრანგეთის დელეგაციის სახელით შემოიტანეს და გერმანელებს სდებს ბრალს ომის წარმოებაში.

*) ეს მოკლე ანგარიში ამოღებულია გაზეთ „ტან“-იდან. რედაქციას იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში მიიღებს ევროპის სოციალისტურ გაზეთებს და მაშინ ვრცლად დაბეჭდავს ამ კონგრესის ანგარიშებს. რედ.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**ჯამაგირის მომატება და ბაზრის ფასები.** „3 დღის წინად გაზეთებში იყო ცნობა მუშა მოსამსახურეთათვის ჯამა-

## დღეს

**გერმანული ცნობით პოლონელების შეტევის შემდეგ გერმანიის ტერიტორიაზე დაახლოვებით 50 ათასი წითელ არმიელი გადასულა.**

**ჩიჩერინი წინადადებას აძლევს პოლონეთის საზავო დელეგაციის მოლაპარაკების ნეიტრალურ ქვეყანაში გადატანის შესახებ.**

**ლვოვის აღმოსავლეთ რაიონებში სერიოზული ბრძოლა გრძელდება.**

**ყუბანის ფრონტზე სასტიკი ბრძოლაა.**

**რუმინეთის კაბინეტი გადადგა. ახალის შედგენა მიენდო სოციალისტთა ლიდერს ფლორესკუს, რომელიც კოალიციონურის ნაცვლად შეადგენს წმინდა სოციალისტურ კაბინეტს**

გირების მომატების შესახებ, გუშინ კი ყველა სანოვაგეზე ფასებმა დიდათ აიწია. ფასები იზრდება არა დღეობით, არამედ საათობით მუშებს უძნელდებათ ბაზარზე რაიმე სანოვაგის შეძენა. არავითარი მომატება არ სწყვეტს კრიზისის საკითხს, არ გამოკვებავს მშივრებს. მომატება, პირიქით, აძლიერებს სიძვირეს. და ის ზედმეტი ქაღალდის ფული, რომელსაც იღებენ მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირის მომატების სახით, სულერთია,—გადადის ქალაქის სპეკულიანტის და სოფლის „კულაკის“ ჯიბეში.

ხარკოვში არსებულ ყიდვა-გაყიდვის თავისუფლების დროს, როცა ფასებს არავინ არ აწესებს და სპეკულიანტებს მუშებისათვის ყელზე ხელი წაჭირებული აქვთ, ცხადია, არავითარი ჯამაგირის მომატება მუშების მდგომარეობას არ გააუმჯობესებს. საჭიროა ძირიანად შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულება თავისუფალ ვაჭრობასთან, საჭიროა ცხოვრებაში გატარებულ იქნას ის, რაც ასე მაგრათ და დამარწმუნებლათ არის ნათქვამი ბრძანებებში და განკარგულებებში. ნორმა ყველასათვის ნორმათ უნდა იყოს. ისე კი არ უნდა იყოს, როგორც დღეს არის—დღეს ბურჟუა ყველაფერს ყიდულობს ბაზარზე და ყელამდე ძღება. ყველა ამას სჩადის იმ ფულით, რომელიც მუშებმა მას (ბურჟუას) მისცეს პურის ნატეხებში, მწვანილეულობაში და ზეთში. ჩვენ ქაღალდის ფულები კი არ გვინდა, ისინი სპეკულიანტების ჯიბეში გადადის, არამედ—ჩვენ გვინდა პროდუქტები და პირველ საჭიროების საგნები. ნატურალიზაცია სამუშაო ქირისა, თავისუფალი ვაჭრობის ლიკვიდაცია, მოთხოვნილებათა ხარისხობრივი გათანასწორება ყველასთვის აი რა გვინდა ჩვენ! ჩვენ პირველ ხანებში გაგვიჭირდება პატარა ნორმით დაკმაყოფილება (მეტს კი ვერ მივიღებთ, სანამ ქალაქში არიან სპეკულიანტები, სოფელში კი—„კულაკები“) მაგრამ, სამაგიეროთ, თავისუფალი ბაზარი ვერ გადაყლაპავს ყველა პროდუქტებს ბურჟუაზიის სასარგებლოთ და დამზადებელ განმანაწილებელი აპარატი შესძლებს ყველაფერ იმის შეძენას, რასაც ამ ჟამათ სჭამენ არა მუშები. (ხარკოვის „პროლეტარი“ № 39.)

**მუშის წერილი გუბისპოლკომის თავმჯდომარეს.** პატივცემულო ამხანაგო! დღეს დილით ბაზარზე ვიყავი და მსურს გაგინაწილო ის ცუდი ამბები და შთაბეჭდილებები, რომელსაც ჩვენს საბჭოთა ოჯახში შეაქვს მრავალი უსიამოვნება წვალება, როგორც კერძო პირთათვის, ისე მთავრობისათვის. ბაზარზე თავისუფლად განაკრძობენ თარეშს მრავალი ბნელი ელემენტები და ბნელ საქმეებს აკეთებენ. ისინი აგიტაციას ეწევიან საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგ და სპეკულიაციასაც აწარმოებენ. მაგრამ ყველაზე დიდი და ძირითადი ბოროტება და სააგიტაციო აპარატი ეს ბაზარზე მოვაჭრე ქალებია (ТОРГОВКИ) რომლებიც აშკარათ ეწევიან სპეკულიაციას. ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, ამაში დარწმუნდება აგრეთვე ყველა ის, ვინც დილით ადრე გავა ბაზარზე და მოინდომებს გლეხებისაგან რაიმეს ყიდვას. შემოიტანენ თუ არა გლეხები სურსათს, მას მაშინვე ირგვლივ შემოეხვევიან ეს ვაჭარი ქალები და რასაც მოითხოვს, აძლევენ და ყველაფერს უცბად ყიდულობენ. როდესაც მე ვიკითხე ფასი, ყოველმხრიდან მომაყარეს საგინებელი სიტყვები: „ჟიდიდან“ დაწყებული „ბალშევიკამდე“. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ ამავე ვაჭარმა-ქალმა გლეხისაგან იყიდა შავი „სპროლდინა“ 150 მანეთად და როდესაც მე მასთან მივედი, მომთხოვა 600 მანეთი. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტი, რომ გლეხი ისწრაფვის დარჩენილი ნაწილი თავისი საქონლისა ჩქარა იაფად გაყიდოს და წავიდეს სახლში, აქ იგივე ვაჭარი ქალი ყიდულობს მისგან ყველაფერს მიუხედავათ იმისა, რომ ზედმეტი მას გაუფუჭდება. ამას ის იმიტომ სჩადის, რომ 500% მოგებას მოელის. ესენი ამით აძრობენ ტყავს მოქალაქეთ და პროლეტარებს, რომლებიც ბაზარზე მიდიან თავის ცოლ-შვილისათვის სანოვაგის შესაძენათ. რუსეთის ქალაქებში თუმცა აკრძალულია ვაჭარქალების მიერ გლეხებისაგან ურმიდან სანოვაგის ყიდვა დღის 12 საათამდე, მაგრამ ამას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. საჭიროა შეუბრალებელი ბრძოლის წარმოება წინააღმდეგ სპეკულიაციისა და საბჭოთა და რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაციისა.

კომუნისტური სალამით, მუშა ა. ქ. („პროლეტარი“ № 39)

**„ორმაგი საბოტაჟი“.** ამ სათაურით ხარკოვის „კომუნისტ“-ის № 167-ში მოთავსებულია ვინმე მაკარის წერილი, რომელიც ასე იწყება: „ბოროტი ბურჟუა საბოტაჟნიკი, თითქოს მყრალი გაზი იყოს, ყბაყბობით ახერხებს სულ ვიწრო გასავალში გაძრომას და თავის გამხრწნელ და გამანადგურებელ მოქმედებას. ასე დიდია მისი სიძულვილი ახალ წყობილებისადმი, ახალი ცხოვრებისადმი, სადაც იგი უწინდებურათ ველარ ბატონობს და ველარ ღმერთობს; მართლაც და, „არ არის ისეთი დანაშაული, რომელზედაც მან თავი არ გასწიროს, თუნდაც იცოდეს, რომ მას სახრჩობელა მოელის. და სწორედ მაშინ, როდესაც, თითქოს, ეს არის აი, საბჭოთა ძალა-უფლებამ ხელი სწვდა, ძლივს, ბურჟუაზიას ყელში, კაცს ჰგონია, რომ აგერ, ის უკვე მოკვდა და დამარხეს კიდეც, მაგრამ მარჯვე მანევრით, თავისი ეშმაკობით ის ახერხებს მუშათა დიქტატურის მაგარ მკლავებიდან გასხლტომას და აგრძნობინებს, მას თავის ჯერ კიდევ ძალოვან და გამოცდილ მუშტს. უკანასკნელ დღეებში 1—2 წარმოებაში სცდეს გაფიცვის მოწყობა, რომელშიაც, ეჭვს გარეშეა, საპედისწერო როლი ითამაშა ამ წარმოებაში **შრომის ბეგარის მოსახდელათ გაგზავნილ ბურჟუაზიის მახინაციებმა.** ამ ქარხნებში გამხრწნელათ მოქმედებენ ეს ბურჟუები არა მარტო მათი იქ ყოფნით, საკუთარ პერსონით და თავის მუშაობით; არამედ—აგრეთვე იმათაც, რომ ბურჟუები, ნაკლებად შეგნებულ მუშათა ელემენტებიც უბრალოთ ეწევიან ზარმაცობას, როცა ხედავენ, რომ ახლად მოსული, ახლად გამომცხვარი „მშრომელი“ ელემენტი—მუშაობის მაგიერ უსაქმურად დაეხეტება ქარხნის ერთი კუთხიდან მეორეში ან და „უსვამს“ თავის თეთრ ფუნჩულა პაწაწინა, სპეკულიაციაზე და არა შრომაში გამოწრთობილ ხელს“.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

აგვისტოს 31.

## გერმანული ცნობები

### მცირე ანტანტა.

შეერთებული შტატების მთავრობამ გააფრთხილა პოლონეთი, თქვენი ტერიტორიის იქით ომს ნუ განაგრძობთო. მიუხედავათ იმისა, ანტანტას სურს რუსეთის მეზობლად მდებარე პატარა სახელმწიფოების გაერთიანებით დაამარცხოს წითელი ბალშევიზმი. ზოგიერთ სახელმწიფოებში მცირე ანტანტის შექმნის საკითხი დღიურ საკითხად არის გადაქცეული. მსჯელობენ იმის შესახებ აღმოუჩენს თუ არა დიდი ანტანტა დახმარებას მცირე ანტანტას, რომელშიც შევლენ რუმინეთი. უნგრეთი, სერბეთი და ჩეხო-სლოვაკია.

გერმანულ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ სლავია და ჩეხო-სლოვაკია სავსებით შეთანხმდენ რუმინიასთან შეერთების საკითხის შესახებ. სლოვაკთა მინისტრი შენეში ბუქარესტს გაემგზავრა. საფრანგეთი ცდილობს უნგრეთთან დაახლოვებას და თანაც ეშინია, რომ მცირე ანტანტა, რომელიც ნეიტრალობასაც აცხადებს რუსეთ პოლონეთის ომში, წინააღმდეგ არ წავიდეს ბალკანეთში საფრანგეთის პროგრამის განხორციელებისა. ამ მიზნით საფრანგეთმა ბუქარესტს გაგზავნა ჟორფი. მარშალი ფოშიც იქ უნდა წასულიყო.

რუმინეთის მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ყოველი უნგრელი ლანძღავს რუმინეთის მიერ ბუდაპეშტის დაპყრობის გამო, მისთვის სამაგიეროს გადახდაზე. უნგრელები ამბობენ: მხოლოდ რუმინეთის დაპყრობა მოგვაშორებს ამ ეროვნულ სირცხვილსო.

### რუმინეთის ახალი მთავრობა.

პრემიერ ავერესკუს მთავრობა გადადგა. სოციალისტთა ლიდერმა ფლორესკუმ თავს იდვა შედგენა წმინდა სოციალისტური მთავრობისა, ახლანდელ კოალიციონურ მთავრობის მაგივრად. ამ გარემოებამ შეიძლება ხელი შეუწყოს რუმინეთის დაახლოვებას მცირე ანტანტასთან.

### შეტევის შესაჩერებლად.

ალენშტეინში მიღებული ცნობით დღეს რუსებმა პოლონელების შეტევის შესაჩერებლად გროდნოდან ბელოსტოკის მიმართულებით გაგზავნეს 40 ათასიანი ჯარი.

### პოლონეთის ფრონტზე.

ვარშავიდან შემდეგს იტყობინებიან: ჩრდილოეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. შუაგულს ..... აგვისტოს 26 პრუსიის საზღვარზე ჩვენი ნადავლი იყო: 4 ზარბაზანი, 30 მიტრალიეზი და სამხედრო მასალა. გავიგეთ რა მტრის განზრახვა, რომ შემოეტია ბრესტ-ლიტოვსკზე აგვისტოს 26 ....... მე 30 დივიზიის რაზმა..... აგვისტოს 95 ენერგიულად შეუტია მტერს. ხელთ ვიგდეთ მტრის ბანაკი სადგურ შტაბინში. ტყვეთ წავიყვანეთ 650 კაცი. მათში 13 ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 12 მიტრალიეზა, 14 ავტომობილი.

### ლვოვის მიმართულებით.

ლვოვის აღმოსავლეთ რაიონებში სერიოზული ბრძოლაა. ბრძოლები აგვისტოს 26 გრძელდებოდა. რუსეთს განზრახვა აქვს ცხენოსანი ჯარი გადაისროლოს დასავლეთის მიმართულებით ლომჟისაკენ და შემდეგ მობრუნდეს ჩრდილოეთით, პრუსიის საზღვრებისაკენ ბელოსტოკიდან და ამგვარად შემოუაროს პოლონელებს. მისი მიზანია მოსწყვიტოს მთავარ ჯარებს პოლონელების ზოგი პოლკი, რომლებიც იმყოფება პრუსიის საზღვრის სამხრეთით ჰპობიან ადგილებში და ბრესტ-კოლომეის ხაზის ჩრდილოეთით.

### საბჭოთა ჯარების გადასვლა გერმანიის ტერიტორიაზე.

გერმანელები ფიქრობენ, რომ რუსის ჯარისკაცების რიცხვი, რომელთაც გერმანიის საზღვარი გადალახეს, 50,000 უდრის. მთელი ეს ლაშქარი განიარაღებულია. გერმანელები მათი ვინაობის შესახებ ცნობების მოწოდებაზე უარს ამბობენ მათი ფიქრით ეს იქნება ნეიტრალიტეტის დარღვევა; პოლონეთის პოლკები, რომლებიც წითლებს სდევნიან, პრუსიის საზღვრებზე თხრილებს აკეთებენ. გერმანელებს ეშინიათ, რომ რუსეთ პოლონეთის კონფლიქტი იარაღით ხელში პრუსიის ტერიტორიაზე იქნება გადაწყვეტილი.

## ლიონის ცნობები

### მოლაპარაკება რუსეთსა და პოლონეთს შორის.

ჩიჩერინმა პოლონეთის დელეგაციას წინადადება მისცა საზავო მოლაპარაკების ნეიტრალურ ქვეყანაში გადატანის შესახებ. ზოგიერთ ფრანგულ გაზეთების აზრით კომისარს სახეში აქვს ესტონეთი, სადაც საბჭოთა მთავრობის გავლენა გაძლიერებულია.

### ლიტვის ჯარები ვილნოში.

ლიტვის ჯარები ვილნოში შაბათს შევიდნენ. რუსებმა ქალაქი აგვისტოს 25 დასტოვეს.

### ვრანგელის ოპერაციები ყუბანში.

**სტამბოლი.** თანახმად აგვისტოს 26 სევასტოპოლიდან მიღებულ ცნობისა ყუბანის ფრონტზე სასტიკი ბრძოლა გრძელდება, ვრანგელის ჯარებმა 1000 ტყვე წამოიყვანეს. დნეპრზე ბრძოლა გრძელდება.

### მაროკოში.

მაროკოში საფრანგეთის ჯარებმა სენტი-სადენის რაიონში ბენი-უარენლები დაამარცხეს. ფრანგების გამარჯვებამ აჯანყებულთა მეზობლებზე დიდი გავლენა მოახდინა.

### ხმების უარყოფა.

პოლონეთის დელეგაცია უარყოფს ხმებს, რომ გენერალ ვეიგანდს ვარშავიდან წასვლას რაიმე კავშირი ქონდეს, პოლონეთის სარდლობასა და მათ შორის, თითქოს, ჩამოვარდნილ უთანხმოებასთან.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

აგვისტო. 31

### სავაჭრო დამოკიდებულებისათვის.

**სტამბოლი,** 23 აგვ. „ბოსფორი“ ბათომსა და საქართველოსთან არსებულ სავაჭრო დამოკიდებულებას საგანგებო წერილს უძღვნის. გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო გზა საქართველოსა და ევროპას შორის მიდის კონსტანტინოპოლზე, რომელმაც საქართველოსთან სავაჭრო დამოკიდებულების მოწესრიგებაში ევროპას ხელი უნდა შეუწყოსო. საქართველოს ბაზარს შეუძლია ძვირფას საქონლის მოწოდება. ამასთანავე მას შეუძლია მრავალ საქონლის გასაღება. გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა ნებას რთავს თავისუფალ ვაჭრობას და უცხო ვაჭრებს საქართველოს ქალაქებში საქონლის მიტანის შეძლებას აძლევს. დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან მტკიცე სავაჭრო დამოკიდებულება უნდა დაიკავოსო.

### შრომის დაჯილდოება და წაქეზებითი წესები.

**სტავროპოლი.** 2 აგვ. გაზეთი „ვლასტ სოვეტა“ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციას აქვეყნებს. კონფერენციაზე პოპულიარულმა ბალშევიკმა იკმანმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც იგი აღნიშნავდა, „6 წლის შეუწყვეტელმა ომმა ქვეყანა სრულ განადგურებამდე და ეკონომიურ სილატაკამდე მიიყვანა. ჩრდილოეთისა და ცენტრის მუშებს არა აქვთ პური, ხორცი და სხვა სურსათ სანოვაგე. სამხრეთის მუშებს და გლეხებს არა აქვთ მანუფაქტურა და საწარმოვო იარაღები „კონფერენციამ მრეწველობის განსამტკიცებლად სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა. სხვათა შორის გადაწყდა: „დაუყონებლივ შემოიღონ შრომის დაჯილდოება და წაქეზებითი სისტემა. გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა შრომის დეზერტირებს და შემოიღონ საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები.

### აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის.

**პარიზი.** 20 აგვ. „ტანი“ ლოიდ ჯორჯის, საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ნაციონალისტების შორის არსებულ დამოკიდებულებას უბრუნდება. „ტანი“ იუწყება: თანახმად არსებულ ნამდვილ ცნობებისა, საბჭოთა მთავრობამ ოსმალეთთან პოლიტიკურ ეკონომიური კავშირი შეკრა. ბალშევიკები უფრო გონიერად მოქმედებენ, ვიდრე ეს ლოიდ ჯორჯს გონია. აღმოსავლეთში არსებული მოვლენები ჩვენ უნდა შევაფასოთ რუსეთისა და ოსმალეთს შორის ძველად არსებულ განწყობილების თვალსაზრისით, რომელიც მათ ქიშპობაში გამოიხატებოდა. ინგლისმა თავისი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ყირიმიდან აღმოსავლეთში გადაიტანა. ინგლისი ეხმარება კონსტანტინოპოლს, თეირანს, და ათინას, ბალშევიკები კი ქემალ-ფაშას, სპარსეთის ნაციონალისტებს და სხვებს. თუ ბალშევიკებმა მცირე აზიის პოლიტიკაში თავის მიზანს მიაღწიეს, მაშინ ინდოეთის მშვიდობიანობა საეჭო გახდება.

### გაფიცვები დასრულდა.

**მადრიდი.** აგვ. 18. შეჩერებული სამრეწველო ცხოვრება, მთავრობისაგან ენერგიულ ზომების მიღების შემდეგ, ისევ გაძლიერდა. გაფიცვები დასრულდა. დაიჭირეს რამოდენიმე სინდიკალისტი. ყველა ფაბრიკა მუშაობს. ინგლისის ნახშირი მოვიდა. ახლა ნახშირი საკმაოა.

### ბურცევის წერილი.

**პარიზი** აგვ. 13. „ობშჩეე დელოში“ დაბეჭდილია ბურცევის წერილი შემდეგი სათაურით: „კმარა სიბრმავე, კმარა სიგიჟე“. ბურცევი მოითხოვს, რომ მოკავშირეებმა შესწყვიტონ ყოველგვარი მოლაპარაკება ბალშევიკებთან. ბურცევი მომხრეა ბალშევიკების საწინააღმდეგოთ ჯვაროსნულ ლაშქრობისა და რჩევას იძლევა,—რომ ბალშევიკების მოწინააღმდეგე ძალების წარმომადგენლად იცნონ გენ. ვრანგელი. თუ ვრანგელი სავსებით დემოკრატი არაა, ყოველ შემთხვევაში, ბალშევიკებზე უკეთესი დემოკრატია. ბურცევი წინადადებას აძლევს ინგლისს, გერმანიას და ავსტრიას გააძევონ თავის სახელმწიფოს საზღვრებიდან ბალშევიკი მოღვაწეები. გერმანიას არ ესმის, რომ ის ნეიტრალიტეტით თავის თავს იღუპავს—სწერს ბურცევი.

### ქემალ-ფაშის ბრძანება.

**სტამბოლი.** აგვ. 31. „იერგირი“ იუწყება: მუსტაფა-ქემალმა გასცა ბრძანება ადერბეიჯანში მყოფ ყველა ოფიცრისადმი, რომ დაბრუნდენ ანატოლიაში. ქალ. ადაბაზი და მისი მიდამოები ქემალისტებმა დასტოვეს. შესდგა გაერთიანებული კომიტეტი თურქთაგან, თათრებისაგან და ბოშნიელებისაგან, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სახელწოდებით.

### მოსკოვის ოლიგარხია და ყირიმის პატრიოტები.

**ლონდონი.** აგვ. 18. „ტაიმსი“ აქვეყნებს ვინოგრადოვის წერილს, რომელშიაც აღნიშნულია: ბალშევიკებმა გამოიწვიეს ბრძოლაში მთელი კულტურული ქვეყანა. შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ანტანტა მიუხედავათ თავის სურვილისა, უნდა ჩაერიოს საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში. ბრიტანეთის დემოკრატია არ დასთანხმდება ახალ სისხლის ღვრაზე, მაგრამ ინგლისს აქვს სხვა საშუალებაც, რომ საბჭოთა რუსეთზე იმოქმედოს. ანტანტამ დაბოლოს უნდა გაიგოს, რომ საბჭოთა წყობილება ძალმომრეობის წყობილებაა და დამყარებულია დაქირავებულ ხიშტებზე. ინგლისმა ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთის მხარე უნდა დაიკავოს,—ან მოსკოვის ოლიგარხიის, ან ყირიმის პატრიოტების.

### მოკავშირეთა ჯარები სტამბოლში.

**სტამბოლი.** აგვ. 23. სტამბოლში მყოფ მოკავშირეთა ჯარების სარდალმა ვილსონმა გამოსცა შემდეგი ბრძანება: სიკვდილით დაისჯება ყველა ის პირი, 1) ვისაც უნახავენ იარაღს, სამხედრო მასალას, ყუმბარებს და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერებას. 3) ვინც ესვრის მოკავშირეთა ჯარებს და 3) იმ სახლის მეპატრონეთ, საიდანაც ესვრიან მოკავშირეთა ჯარებს.

### მოსკოვი და ბერლინი.

**ბათომი,** აგვ. 30. აქ მიღებული ცნობებით მოსკოვსა და ბერლინს შუა სატელეგრაფო დამოკიდებულება აღდგენილია.

### საბჭოთა პოლკის აჯანყება.

„ეხო როსია“ იუწყება მოსკოვის საბჭოთა პოლკის აჯანყებას ალექსანდროვსკთან. წამოუყენებიათ სამოქალაქო ომის შეწყვეტის მოთხოვნილება. პოლკი ტყვიის მფრქვეველებითა და ზარბაზნებით დაიმორჩილეს.

### ამერიკა და რუსეთი.

**სტამბოლი** აგვ. 22. აქ მიიღეს სრული ტექსტი ვაშინგტონში იტალიის ელჩისათვის გადაცემულ ამერიკის ნოტისა. ამ ნოტით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს: შეერთებულ შტატების ხალხი ძალიან ზრუნავს პოლონეთის დამოუკიდებლობისა და მის ტერიტორიის ხელშეუხებლობისათვის. ჩვენი მთავრობის პოლიტიკა იქით იქნება მიმართული, რომ ეს განახორციელოს. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ამერიკა არამც და არამც არ იცნობს არც ბალშევიკების წყობილებას და არ შეიწყნარებს არც რუსეთის ტერიტორიის დაქუცმაცებას.

ნოტა ეხება საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას და აღნიშნავს: რუსეთის ახლანდელმა მესვეურებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება მოტყუილებით და ძალმომრეობით, რუსეთში არსებული წყობილება დამყარებულია საერთაშორისო უფლების ძირითად საფუძვლების ყველა ხელშეკრულების, ჩვეულებისა და პატიოსნობის პრინციპების უარყოფაზე ამიტომაც შეერთებულ შტატებს არ შეუძლიათ იცნოს რუსეთის ახლანდელი მთავრობის სუვერენიტეტი და ან რაიმე დამოკიდებულება იქონიოს მასთან ვერ გაუწევთ სტუმართ მოყვარეობას ვერც მის აგენტებს, რომლებიც წითელი არმიელების სასარგებლოდ აგიტაციას ეწევიან.

### მოსკოვის ცნობები.

**მოსკოვი.** აგვ. 31. აგვისტოს 30 ვლკოვიტის რაიონში, ბელოსტოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 ვერსზე ჩვენ დავიკავეთ მთელი რიგი სოფლებისა, ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში ადგილობრივ ხასიათის ბრძოლებია. ვლადიმირ-ვოლინის რაიონში ჩვენ დავიკავეთ ქალაქი ბელვეჟი და მის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები. ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი და წამოვიყვანეთ ტყვეები. ლვოვისა და პრემიშლის რაიონში თავგანწირული ბრძოლებია. ორეხოვის რაიონში ბრძოლები ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს.

## საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

31 აგვისტო.

### მატარებელი „წითელი აღმოსავლეთი“.

**მოსკოვი.** 26 აგვ. უახლოეს დღეებში გაიგზავნება თურქესტანში დიდი ხნით სამუშაოთ იქიდან ეხლახან დაბრუნებული საინსტრუქტორო სააგიტაციო მატარებელი „წითელი აღმოსავლეთი“. მატარებლის ნახევარ წლის მუშაობამ ისეთი სერიოზული ნაყოფი გამოიღო მთელი ამ მხარისათვის, რომ საჭირო გახდა მუშაობის განგრძობა.

### ბრძოლა ვრანგელთან.

**როსტოვი.** 30 აგვ. მიტინგებზე და კრებებზე ტაგანროგში ამხ. ლუნაჩარსკის მონაწილეობით გამოიტანეს რეზოლიუციები, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიების ხმარება რუსეთის ვრანგელისაგან გადასარჩენად. ანალოგიური რეზოლიუციები გამოაქვთ ჩრდილო კავკასიის ყველა ქალაქებში, და კერძოთ ნევინომარსკის და ტიხორეცკის სტანიცებში ყაზახთა მიტინგებზე.

### აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

**ბაქო.** 31 აგვ. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე უკვე ჩამოვიდა ათასზე მეტი დელეგატი. 28 აგვისტოს, მოსკოვიდან გამოემგზავრნენ ამხ. ზინოვიევი, ბუხარინი და ბელა კუნი, და აგრეთვე კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-2-ე კონგრესის საფრანგეთის და ინგლისის დელეგატების ნაწილი.

## დეკლარაცია თავისუფალ ვაჭრობის შესახებ

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ევროპაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკის მისიების საშუალებით თავისუფალ ვაჭრობის შესახებ შემდეგი დეკლარაცია გამოაცხადა: „ორი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახით არსებობის დროს მას ჩამოშორებული ჰქონდა ბათომი—ისეთი ნავთსადგური, რომელიც ევროპისაკენ პირდაპირ გზას უხსნიდა. ივლისის 7 ბათომი საქართველოს შემოუერთდა და ქალაქში საქართველოს ადმინისტრაცია დამყარდა. ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ მომავალში საქართველოს კულტურული და ეკონომიური დამოკიდებულება ევროპასთან გაადვილებული იქნება. სამინისტრო ყოველგვარ ზომებს იღებს რომ ეს დამოკიდებულება განამტკიცოს და უცხო სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ეკონომიური დამოკიდებულება დაამყაროს. საქართველოს ნავთსადგურები თავისუფალ ვაჭრობისათვის გახსნილია. სამინისტრო უზრუნველყოფს ყველას, ვინც კი საქართველოში საქონელს შემოიტანს. მათ არავითარ რეკვიზიციას არ მოუხდენენ, და ვაჭრობა მთელ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არაფრით არ იქნება შეზღუდული. სამინისტრო არ სდგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც უცხო ვაჭრების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. ამ ვაჭრებს ეძლევათ უფლება საქონლის თავისუფლად შემოტანისა და ვაჭრობისა სამინისტრო არ ზღუდავს ვაჭრობას არავითარი ნიხრით და ფასის დაწესებით. გამონაკლისს შეადგენს ფუფუნების საქონელი, რომელთა შემოტანა საქართველოში აკრძალულია. ყველა შემოტანილ საქონელზე ვაჭრებმა მხოლოდ განსაზღვრული საბაჟო გადასახადი უნდა გადაიხადონ. ეს გადასახადი საჯაროდ არის გამოცხადებული და მოთავსებულია მთავრობის ოფიციალურ ორგანოებში. იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველო არის გზა რომლითაც შეუძლია ევროპას სომხეთთან, აზერბეიჯანთან და სპარსეთთან დამოკიდებულების დაჭერა, სამინისტრო სრულ უფლებას აძლევს ვაჭრებს საქართველოს ნავთსადგურებიდან საქონლის ტრანზიტისას ჩამოთვლილ სახელმწიფოებში. ყოველგვარი საქონელი, რომელიც უცხო ვაჭრის მიერ იქნება საქართველოს საზღვრებში შემოტანილი, არის პატრონის ხელუხლებელი საკუთრება და სამინისტრო მათ, სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, ვაჭრობის სრულ თავისუფლებას აძლევს. სურსათ-სანოვაგის და სამონოპოლიო საქონლის (როგორიც არის: მარგანეცი, თამბაქო, მატყლი და აბრეშუმი) თავისუფლად ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის გარდა, ყველა სხვა საქონლით ვაჭრობა თავისუფალია და სამინისტრო სრულიად არ ჩაერევა მის შიგ. ასეთ სავალუტო საქონლის გატანას, როგორიც არის ტყე, ქვა-ნახშირი და ტყავი, მომარაგების სამინისტრო აწესრიგებს. დანარჩენი საქონლის გატანა შეიძლება სრულიად თავისუფლად. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის ნავთსადგურებით საქონლის თავისუფალი შემოტანა მოგებას მოუტანს, როგორც რესპუბლიკის მცხოვრებთ, ისე უცხო ვაჭრებს, რომელთა საქონელს ფართო ბაზარი გაეხსნება. (სდ.)

## ვალუტის საქმის მოწესრიგება.

სახელმწიფო ბანკის საბჭომ ვალუტის საქმის მოწესრიგების მიზნით მთავრობას შემდეგი დებულებები წარუდგინა დასამტკიცებლად: 1) ეკონომიურ საბჭოს დაარსებამდე განზრახულია ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით საგანგებო თათბირის მოწყობა, რომელშიც შევლენ: მომარაგების სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები. ამ თათბირს უფლება ეძლევა გამოსცეს განკარგულებანი შემდეგი საკითხების შესახებ; ა) რესპუბლიკის ფარგლებში ვალუტის ოპერაციის წარმოების შესახებ, ბ) საჭიროების დროს, როგორც ოპერაციების, ისე იმ დაწესებულებათა შემცირების შესახებ, რომლებიც ამ ოპერაციებს აწარმოებენ, გ) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ, 2) ყველა ფულის ნიშანი, გარდა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონებისა, საზღვარ გარეთის ფულის ნიშნებად უნდა ჩაითვალოს, 3) სახელმწიფო ბანკთან უნდა მოეწყოს სავალუტო ფონდი, რომელშიაც გადაირიცხება 25 % იმ მოგებისა, რომელსაც ნახავს მთავრობა, ან მისი ორგანოები საზღვარ-გარეთიდან წარმოებულ ოპერაციებიდან. 4) ჩამოთვლილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება ევალება სახელმწიფო ბანკს, რომელმაც ამ მიზნისათვის უნდა შეადგინოს სავალუტო კომიტეტი. ამ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სავაჭრო სამრეწველო პალატის და ყველა იმ საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა რომლებსაც აქვთ ნებართვა სავალუტო ოპერაციების წარმოებისა კომიტეტის დადგენილებანი ძალაში შედის სახელმწიფო ბანკის გამგის დამტკიცების შემდეგ. 5) სავალუტო კომიტეტის ორგანიზაციის პროექტი დასამტკიცებლად საგანგებო თათბირს უნდა წარედგინოს 6) ისინი, რომლებიც საგანგებო თათბირის დადგენილებას დაარღვევენ, უმაღლეს სასჯელით უნდა დაისაჯონ. სახელმწიფო ბანკის საბჭოს ეს პროექტი მთავრობამ უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილოს. (დ. ს.)

# ახალი ამბები

— **საფრანგეთის მისიაში.** ერევნიდან თფილისს დაბრუნდა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი პოლკ. კორბეილი.

— **ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა** საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადა მახლობელ აღმოსავლეთში სურსათის გადაგზავნის ხელის შეწყობისათვის.

— სექტემბრის პირველიდან **შრომის სამინისტრო** ადიდებს დახმარების ნორმას. თვიური დახმარება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო დაწესებულების უმცროს მოსამსახურის ნახევარ ჯამაგირს, ქვრივები ღებულობენ იმისნახევარს რაც ერგებოდა ქმრებს, უწლოვანი ბავშვები კი მეოთხედს.

— **გადასახადი სასოფლო სამეურნეო შემოსავალზე.** საგანგებო თათბირმა, რომელიც ფინანსთა მინისტრმა მოიწვია სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე გადასახადის გადიდების საკითხის განსახილველად, დაადგინა გადიდდეს გადასახადი 600%-ით მომავალში სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე გადასახადს სამაზრო ერობა დააწესებს.

— **ტყეების დაცვა.** მიწად-მოქმედების სატყეო განყოფილებამ ტყვიბულის ტყის გამგეს ერობის წარმომადგენლებთან ერთად ტყეების დათვალიერება მიანდო. წაბლის ტყე, რომელიც ტყვიბულიდან ნაქერალასკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, ხელშეუხებლად ცხადდება. ტყის გამგეს გეგმისა და აღწერის შედგენა მიენდო. სატყეო განყოფილება ერობათა წარმომადგენლების თათბირს იწვევს. თათბირის მიზანია ზომების შემუშავება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც სახაზინო ტყეს სჩეხენ.

— **წიგნაკები.** შრომის სამინისტრო შეუდგა დახმარების მისაცემ წიგნების შედგენას. ეს წიგნები შემდეგ დაეგზავნება ერობებსა და ქალაქებს, საიდანაც მიიღებენ პენსიონერები დახმარებას.

— **ახალი ოპერა.** სახელმწიფო თეატრის გამგეობამ მოიწონა დასადგმელად კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“. ოპერა მიმდინარე სეზონში დაიდგმება.

— **დეკრეტი მადანის შესახებ.** სექტემბრის ორს ფინანსთა სამინისტროში ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორის ალშიბაიას თავმჯდომარეობით მოხდება საუწყებათაშორისო თათბირი მადანზე დეკრეტის ინსტრუქციის გამოსამუშავებლად.

— **მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.** იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას, რომ გაგზავნოს ერთი თავისი წევრი ბათომს მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად.

— **სააპელაციო საჩივრები.** იუსტიციის მინისტრმა მთავრობაში შეიტანა წინადადება, რომ ბათომში მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მოწყობამდე, მომრიგებელ მოსამართლის განაჩენზე სააპელაციო საჩივრები განსახილველად ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას გადაეცეს.

— **თფილისის სამაზრო ერობის გამგეობა** იუწყება, რომ ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა სართიჭალაში საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. სართიჭალაში და მის მიდამოებში გაჩნდა საქონლის ავადმყოფობა, რომელსაც პიროპლასმოზ (მალარია) ეძახიან. თავის დროზე მიღებული ზომებით ავადმყოფობა არ გავრცელებულა.

— **სურსათ-სანოვაგის თავისუფალი გადატან-გადმოტანა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა ერობას შემდეგი ცირკულიარით მიმართა: თანახმად მთავრობის მიერ შემუშავებულ სასურსათო გეგმისა, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა სიღნაღის, თელავის და გორის მაზრებისა, სურსათ-სანოვაგის თავისუფალი გადატან-გადმოტანა ნება დართულია. თანახმად სამინისტროს ხელში არსებულ ცნობებისა მთავრობის ასეთი დადგენილება ზოგიერთ მაზრებში არ სრულდება, რაც არა სასურველ გაუგებრობას და მცხოვრებთა შევიწროებას იწვევს. დაუყონებლივ უნდა მოახდინოთ განკარგულება, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სურსათ-სანოვაგის ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში გადატანას ხელი არ შეუშალოს.

— **ქალაქის მეურნეობა.** თფილისის ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელმა კონიაშვილმა საქარ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს

ქალაქის ფინანსები შემდეგ ნაირად დახასიათა: წყალზე და ტრამვაიზე ფასის აწევით ქალაქს არ უნდა მოგება. ერთად ერთი მიზანი, რომლისაკენაც მიისწრაფის ქალაქი, ეს არის ქალაქის მეურნეობის უდეფიციტოთ წარმოება. მიუხედავათ წყალზე ტარიფის გადიდებისა ქალაქს წყლის ექსპლოატაცია მაინც უფრო ძვირი უჯდება, ამიტომ ქალაქს წყლის ოპერაციაში არა ნაკლებ 10 მილ. მან. დეფიციტს მოელის. ტრამვაიზე ტარიფის გადიდება აუცილებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების მდგომარეობას სტოპზე მოელოდა. კენიაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის გამგეობას განზრახული აქვს ქალაქის უბნებში სახლების შენება ფართო მასშტაბში მოაწყოს. განზრახულია მთელი რიგი იაფ ფასიან სახლების აშენება.

**მფრინავ კილტავას დაკრძალვა.** სექტემბრის 1 დილის $8^{1}/_{2}$ საათზე პ. კილტავას ცხედარს გამოასვენებენ თავის ბინიდან სამხედრო ტაძარში. დღის 1 საათზე გაასვენებენ დიდუბის სასაფლაოზე, სადაც მოხდება დაკრძალვა.

**ფუნიკულიორის მოძრაობა** ამ დღეებში განახლდება. მაღლა ასვლა ეღირება 30 მანეთი, შუა ადგილამდე 15 მ. ძირს დაშვება 20 მან.

**თფილისის სადრამო ათასეულში.** ოთხშაბათს, 1 სექტემბერს, ათასეულის დაარსების წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება სალამო შემდეგი პროგრამით: ვალ. ჯულელი გააკეთებს მოხსენებას მომენტზე. ათასეულის თეატრში ადგილობრივი ძალების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება 3 მოქმედებიანი პიესა: „ციმბირელი". დასასრულ, წარმოდგენის შემდეგ, გაიმართება ცეკვა, ლიტარია, აუქციონი. დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

**თევზის მრეწველობა საქართველოში.** ვაჭრო-მრეწველობის კომიტეტში ამ დღეებში შავი ზღვის სანაპიროებზე თევზის მრეწველობის განვითარების საკითხი განიხილეს. ფინანსთა მინისტრს სათანადო მოხსენება წარუდგინა გ. გარომ, რომელიც აღნიშნავს, რომ ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ საქართველო დაახლოვებით შავი ზღვის ნაპირს 250 ვერსის სიგრძეზე მფლობელობს. ამ ჟამად ეს ზღვის ხაზი თევზის მრეწველობის მხრივ სრულიად არ არის გამოყენებული. თევზის მრეწველობის მოწყობის უფლებას ითხოვს ვაჭრობა-მრეწველობის პალატაში აღნიშნეს, რომ ზღვის სიმდიდრის დაუმუშავებლობა დიდი ნაკლულოვანება არის. ამ საქმის მოგვარების შემდეგ შეიძლება არა მარტო მცხოვრებლების თევზით უზრუნველყოფა, არამედ შეიძლება საზღვარ გარედ თევზის ქონის გატანაც. ამისათვის საჭიროა თევზის მრეწველობის ფართო ნიადაგზე დაყენება, ესე იგი, უნდა შეიქნეს თევზის საჭერ გემების ფლოტილია, უნდა შეიძინონ ბადეები და სხ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დელფინების დაჭერას და მით ქონის შოვნას. ამ მოსაზრებით ვაჭრობა-მრეწველობის პალატამ მიმართა ვაჭრობის მინისტრს განცხადებით, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ გარის მიერ აღძრულ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დელფინების ჭერას, რომლის ქონს, გარდა, ტყავსაც დიდი ფასი აქვს. თევზის მრეწველობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ჟამად ბაზარზე აზერბეიჯანთან კავშირის შეწყვეტების გამო თევზის დიდი ნაკლებობა არის. (დ. ს.)

**გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთები, ხონს, ზუგდიდს, საჩხერეს, ნიგოითს, ოზურგეთს და თელავს.

**იონა მშვიდობაძეს** რედაქცია სთხოვს შემოიაროს 8—2 საათამდე.

**კრებები.**

— დღეს, საღამოს 6 საათ. ახალ ბინაზე შედგება საქართველოს ახალგაზრდა მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტის კრება.

— ოთხშაბათს, 1 სექტემბერს, სღ. 6 ს. ბიუროს ბინაზე შედგება (ერთობის ქ. № 4) შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. სომხური სექციის კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ბორჯომის** უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში თავისუფალი ადგილები არის I, II და III კლასებში; მისაღები გამოცდები დაიწყება 8 სექტემბრიდან. საჭიროა ფიზიკა მათემატიკის, ხატვის, გალობის, ფრანგ-ენის და ხელ-გარჯილობის და ფიზიკური ვარჯიშობის მასწავლებელნი.

**ზესტაფონის** საკრედიტო ამხანაგობა იწვევს არა ჩვეულებრივ კრებას 4 სექტემბრისათვის. კრების საგანი — სასურსათო კრიზისი. დასწრება შეუძლიათ არა წევრთაც.

## თავაშვებული ხალხი

28 აგვისტოს თფილისის ალმშენებლობის მუშათა კავშირის მიერ გამართულ საღამო-სეირნობაზე თავი ისხეულა 5 სახალხო გვარდიელმა. საქმე შემდეგში იყო: კლუბში არსებული წესების თანახმად აკრძალულია ყოველგვარი საჭმელების და სასმელების მიტანა მაგიდაზე სტუმრებთან 12 საათის შემდეგ ერთ მაგიდასთან მყოფ სტუმრებმა, სადაც აღნიშნული გვარდიელები ისხდნენ, დაჟინებით მოითხოვეს ღვინო, რაც ბუფეტის გამგეს მიერ არ იქნა შესრულებული. მათ განაგრძეს ღვინის მოთხოვნა. როდესაც ბუფეტის გამგის და მისი ხელქვეითების სიტყვამ არ გასჭრა, მაშინ ო. ლაცაბიძემ განუმარტა სტუმრებს, რომ საერთო წესების თანახმად ღვინის მიტანა აკრძალულია და აქ გამონაკლისს არავინ არ უნდა შეადგენდეს.

ამ სიტყვების პასუხად მას ბოთლი ესროლეს. მისცვივდა თორმეტამდე კაცი ხანჯლებით და რევოლვერებით. უშვერი სიტყვებით და იარაღის ქღარუნით ცდილობენ თავზარი დაეცათ ყველა იქ მყოფთათვის და ჯავრი ეყარათ იმ ლაცაბიძეზე, რომელმაც მათ წესიერებისაკენ მოუწოდა.

თითქმის ყოველმა მათგანმა იარაღი ამოიღო და ისე აფეთიანებდენ იქ დამსწრეთ, რომ ახლო მიკარებაც კი გაძნელდა, შეშინებული ხალხის ნაწილი იმალებოდა, ნაწილი კი გარბოდა. რამოდენიმე მილიციონერი მოვიდა, მაგრამ მათ გაუჭირდათ წრეს გადასული ხალხის შეკავება საღამ მე-10 უბნიდან არ მოვიდა ადმინისტრაცია და არ შეაჩერა მათი „თავკანწირული ბრძოლა"... ერთი კაცის წინააღმდეგ. ეს გვარდიელები იყვნენ:

1) ნიკოლოზ იმედაშვილი, 2) ვასილ ხუნდაძე, 3) გუგუნიძე გიორგი, 4) მაჭარაძე მიხეილ, 5) ქლენტი.

ჩვენი აზრით, საჭიროა ასეთი ვაჟბატონები არ ატარებდენ გვარდიელის სახელს, საჭიროა ისინი გაძევებულ იქნან გვარდიიდან, რომ მათ მოესპოთ საშუალება გვარდიის სახელით სარგებლობის და ყოველ გზა-ჯვარედინზე იარაღის ქღარუნის. საჭიროა, რომ ის გვარდია, რომელიც წმინდათ ასრულებს თავის მოვალეობას რევოლიუციის და სამშობლოს წინაშე—გაიწმინდოს ასეთი ელემენტებისაგან. **ვანიკო.**

## „წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

**„კანცელარიული ფორმალიზმი"** ბაქოს „კომუნისტის" № 79-ში ამ სათაურით მოთავსებულია ლ. ი. კოტლიარევსკის წერილი რომელიც ასე იწყება: „ბევრი სწერს და ილაპარაკეს კანცელარიულ რუტინისთან და ფორმალიზმთან ბრძოლის შესახებ. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ბრძოლა მხოლოდ სიტყვიერათ სწარმოებდა." შემდეგ ავტორი ჰგოდებს, რომ ეს „რუტინა" და კანცელარიზმი ხალისს უკლავს იდეიურ, ძალღონით აღსავსე და ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნის მსურველ საბჭოთა მუშაკებსაცო და განაგრძობს: „ამის ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ კანცელარიული ფორმალიზმი არამც თუ არ ილფხვრება, არამედ, პირიქით, დღე და დღე უფრო იზრდება და ვრცელდება და შექმნილ და გასულ ქაღალდების ზღვა ჩაძირობას უქდის მთელ სახალხო შემოქმედებას და მძიმე შრომით მიღწეულ მონაპოვართ. მაშინ, როდესაც ერთ დაწესებულებაში ანგარიშებს მე-60 წლების საკასო წესების მიხედვით აწარმოებენ, მეორე დაწესებულებაში—ორმაგი ან უბრალო ბუღალტერიის სისტემით, მესამე დაწესებულებაში ძველ საკასო წესებთან ერთად ორმაგი ბუღალტერიით სარგებლობენ და სხვ."

**საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა.**

ბაქოს რევტრიბუნალმა გაარჩია პ. კლიმენკოს, ივ. ბობროვის, ანდრ. დანილოვის და ალ. ბობროვას საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შეარაღებული გამოსვლა, აგიტაცია და საბჭოთა მომხრეებისთვის დახვრეტით დამუქრება. ივ. ბობროვს მიუსაჯეს 20 წლით დაპატიმრება იძულებითი მუშაობით, პ. კლიმენკოს 15 წლით დაპატიმრება. სხვები გამართლეს. („კომ." № 86)

**სწავლის დაწყება.** განზრახული იყო ყველა სკოლებში სწავლა 1 სექტემბერს დაეწყოთ, მაგრამ შეუძლებელია ეს არ მოხდეს, რადგან სკოლების ბინები უმეტეს ნაწილად სამხედრო ნაწილებსა აქვთ დაჭერილი. „ნარკომპროსი" ყოველ ღონეს ღონობს, რომ სკოლებში სწავლა 1 ოქტომბერს მაინც დაიწყოს. („კომ." № 86).

**ახალგაზრდა კომუნისტების ხელ ახალი რეგისტრაცია.** მოახდინეს ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის წევრთა ახალი რეგისტრაცია, რომლის შემდეგ ორგანიზაციაში 225 კაციდან მხოლოდ 160 დარჩა. („კომ." № 85).

**ზაქათალის ამბოხების მონაწილის დახვრეტა.** ოფიცერს ჰასან-მასან-ოღლის, რომელსაც ბრალდებოდა ზაქათალის ოლქის ამბოხებაში მონაწილეობის მიღება, სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტეს, როგორც „აღმოსავლეთის გლეხთა და მუშათა ინტერესების მოღალატეს". („კომ." № 85).

**სახლების მუნიციპალიზაცია.** კომუნხოზის განყოფილებას დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს ყველა სახლების მუნიციპალიზაციის გეგმის შემუშავებას. („კომ." № 14).

**რკინის გზების სრული მილიტარიზაცია.** ნარკომპუტის მოხსენებით საჭიროდ სცნეს რკინის გზების სრული მილიტარიზაციის მოხდენა. თანამდებობის პირთათვის განსაკუთრებულ მატარებლების შედგენა და ვაგონების მიმაგრება. („კომ." № 94).

**საბოტაჟნიკები.** საბუნჩის რაიონის „ტარტალშიკები" ქერიმ სამტი, იუსუფ სადიხი, მახმედ შარიფი, ხიზრატ კული რამადონი, შ. ნავ ელა ქიში და ყიფულა შექიური სისტემატიურათ ნორმაზე ნაკლებ მუშაობენ. („კომ." № 94).

**„ამხ. სატურას მოხსენება და ლორი".** ლორის ღელეგატი (ლორი ნეიტრალური ზონაა სომხეთისა და საქართველოს შორის) ამხ. სატურა იუწყება: ლორის ტერიტორიას შეადგენს ბორჩალოს მაზრა და მასში შედის 52 სოფელი. ამ ჟამად ლორს მართავს სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლებისგან შემდგარი შერეული კომისარიატი. მცხოვრებნი, უმთავრესად სომხები, არც ერთი მათგანი არ თანაუგრძნობენ და ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებს გან მტრული არიან, რადგან არც საქართველო და არც სომხეთი მათ თავის მიწაწყალზე არ უშვებენ. ბოლშევიკურ გადამდებ სენის შიშით, საქართველომ და სომხეთმა, რომლებიც ლორის შინაურ საქმეებში არ ერევიან ლორის მიწა-წყალზე ადგილობრივ კომუნისტურ მუშაკთა დაპატიმრების უფლება მოიპოვეს და ამ უფლებით სარგებლობენ კიდევაც. ლორის კომისარიატის შესანახათ ორივე რესპუბლიკამ 2 მილიონ მანეთამდე გაიღეს. ამას გარდა, ეს კომისარიატი ცდილობს სოფლებისგან გადასახადის აკრებას, მაგრამ გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს იმიტომ, რომ ამ რესპუბლიკებისგან არავითარ ეკონომიურ დახმარებას არ ღებულობენ მაშინ, როცა ლორიდან საქართველოში და სომხეთში გააქვთ მატყლი, ტყავი, ერბო—კარაქი, ყველი, თაფლი და ოთხფეხი საქონელი. ერთი თვის წინად მოხდა რამდენიმე სოფლის თათბირი (ვორონცოვკა, პრავალნიე და სხ.), სადაც გადასწყვიტეს, თუ მუშათა და გლეხთა არმიას განზრახული არა აქვს მოკლე ხანში მათი მდევნელებისგან განთავისუფლება და ლორში საბჭოთა ძალა-უფლების დამყარება, მაშინ დაე, მცხოვრებთ საშუალება მისცენ გადასახლდენ საბჭოთა რუსეთში. ამ გადაწყვეტილებას შეუერთდენ ლორის დამონებული მშრომელი ელემენტები". („კომ." № 94).

## ყოფნა, თუ არ ყოფნა?!

ა.

ლამურასავით თავში ფიქრი შეიპარება.
შადრევანივით ამოსკდება გულში შხამები.
ეჰ, მომავალი ხნულებისფრად დაიფერება.
უნუგეშობის სურათებით დავიშხამები...
მუდმივ სასახლეს ვინახულებ: ჩუმ სასაფლაოს.
დამწვარ სულებთან ამბორებით მეც დავიწვები.
ცივი თვალებით შემოვხაზავ: ხალხთ სასაკლაოს.
...არარაობის ერთგულებას შევეფიცები...
. . . . . . . . . .

ბ.

პეპელასავით სული ცერად დაიწყებს ფარფატს,
იპოვის ყვავილს ტკბილის წვენით: მზის ამოსავლეთს,
(ვით ებრაელი პირქვე ლოცვით ისვენებს შაბათს).
იქ ინეტარებს... და დავკარგავ ურწმუნო ჰამლეტს...
ცის ლურჯი სუფრა ოქროს ვაზით ამიპატიჟებს.
ამაოებას სამუდამოდ გავებუტები.
ოხ, მზის სხივები დამდგარ თვალებს, რომ დამიგიჟებს,
კვლავ უკვდავებას შვილისავით ჩავეხუტები...

**ქ. რატიშვილი.**

## ირლანდია

(საკუთარი კორესპონდენტიდან)

ირლანდიაში ნამდვილი სამოქალაქო ომია: მკვლელობა, დაჭრა, გატაცება, თავზე დაცემა, დაწვა და სხ. ერთი სიტყვით, ყოველგვარი ბრძოლის ფორმები გამოყენებულია ქვეყნის ანარქიის მორევში შესაცურებლად.

ირლანდიის რევოლიუციონერები მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა მაინც არ ცხრებიან, პირიქით, რაც უფრო მეტია მათი დევნა, მით უფრო საშინელი და ულმობელი ხდება მათი პასუხი.

მაღალი მოაზროვნე კაცობრიობის სული და გული ჯერ კიდევ მსოფლიოს კატასტროფით არის დაკავებული, თორემ ის, რაც ირლანდიაში ხდება დღეს, ღირსია მისი, რომ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყროს. ვისაც ადამიანის სიცოცხლესთან ერთად თავისუფლებაც აინტერესებს, მას არ შეუძლია გულდამშვიდებით უყუროს იმ „სპორტს", რომელსაც ირლანდიაში ერთი მეორეს ეთამაშება.

ლორდ კერზონმა, მეტის მეტად აღელვებულმა, განაცხადა პალატაში „ირლანდიაში ნამდვილი რევოლიუცია არის. მისდა მიუხედავათ, რომ ნაციონალისტების პარლამენტი კანონს გარეშეა გამოცხადებული, ის მაინც იკრიბება, იმუშავებს კანონებს, აწესებს სამსაჯულოებს როგორც სამოქალაქოს, ისე სამხედროს, ღებულობს სესხს და სხ. ერთი სიტყვით, იქ ოფიციალური მთავრობა ჩამოგდებულია, ყველაფერი ნაციონალისტების ხელშია".

ის ურჩევს პარლამენტს სანამ კიდევ დროა, მთავრობამ გაილაშქროს ირლანდიის დასაპყრობად... საქმე იმაშია, რომ ულსტერის მემამულებს ირლანდიის რევოლიუციონერები ვერ შეაშინებდა, რომ თითონ ინგლისში ამ მხრივ კარგათ იყოს საქმე. ტრედუნიონის უკანასკნელმა კონგრესმა—ირლანდიის შესახებ გამოიტანა რეზოლუცია, სადაც ის დაჟინებით მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან ირლანდიისათვის სრული თვითგამორკვევის უფლებას—სეპარაცია თუ ფედერაცია ეს გადაწყვიტოს თვით ირლანდიამ პლებისციტით, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრედ-უნიონი, ეს უძლიერესი ორგანიზაცია, რომელსაც ხელში უპყრია ინგლისის ეკონომიურად მამოძრავებელი ძაფები, იმუქრება რომ ის არ შეჩერდება არაფრის წინაშე თუ მთავრობამ არ მიიღო ზომები რაც შეიძლება დაჩქარებით ირლანდიის საკითხის გადასაწყვეტათ იმ მიზნით, როგორც ამას მოითხოვს მათ მიერ მიღებული რეზოლიუცია. სწორედ ეს არის რაც ლოიდ ჯორჯს მეტად აფიქრებს და მის ამხანაგს, ირლანდიის საკითხის იარაღით გადაწყვეტაში არ ეთანხმება.

სოციალისტების და სინდიკალისტების თავგამოდებითი გამოქომაგებამ ლოიდ ჯორჯი მიიყვანა იქამდე, რომ ის მზად არის მიიღოს ნაციონალისტების წარმომადგენლები, რომლებიც მან კანონს გარეშე გამოაცხადა იმ პირობით, რომ ლაპარაკი არ იქნეს არც გამოყოფაზე და არც რესპუბლიკაზე...

მუშების გაზეთი Daily Herald-ი სამართლიანად შენიშნავს ლ. ჯორჯს—კარგს იზამს ბ. ლ. ჯორჯი ირლანდიაში განახორციელებდეს მას, რასაც ის პოლონეთისთვის თხოულობს—გასაკვირველია, ლ. ჯორჯი—განაგრძობს გაზეთი, ჩიჩინებს შეკავებას პოლონეთისადმი ვერაგულ მოქცევას მაშინ, როდესაც ის შეგნით ცინიკურად თელავს ფეხქვეშ ხალხის იმ უფლებებს, რომლის განხორციელებასაც სხვებისგან მოითხოვს ევროპაში"... ასეთია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მორალი ორმაგ ბუხჰალტერიაზე დამყარებული... ირლანდიის საკითხი ჯერ კიდევ ბევრ მსხვერპლს შეიწირავს, მაგრამ ადრე თუ გვიან ის გადაწყდება ირლანდიელთა სასარგებლოდ.

**ფილიპე მთაწმინდელი.**

ლონდონი.

## უცხოეთი

გერმანია.

**გერმანიის დამოუკიდებლები და მე III ინტერნაციონალი.** მესამე ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის გახსნის წინ მოსკოვში მოხდა მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა გერმანიის დამოუკიდებელთა" პარტიის თხოვნა კონგრესზე დაშვების შესახებ და შეიმუშავა 10 პუნქტი, რომელიც სავსებით უნდა მიეღოთ „დამოუკიდებლებს", რომ კონგრესზე დაეშვათ ისინი. ეს პუნქტები ასეთია: 1) დიქტატურა ნიშნავს რევოლიუციონურ გადატრიალებით ბურჟუაზიის დამხობას—წინააღმდეგ იმ შეხედულებისა, რომ საჭიროა უმრავლესობის მოპოვება არჩევნებში. დიქტატურის საშუალებით მოიპოვება უმრავლესობა და არა პირიქით. 2) დიქტატურა ნიშნავს ძალადობას და ტერორის გამოყენებას. 3) სინამდვილეში რეაქციონერები გახდენ ისინი, ვინც ამ ჟამად გამეფებულ კაპიტალისტურ ტერორის და მის საშინელებათა დროს, კიცხავენ სამოქალაქო ომს და ზურგს აქცევენ მას. 4) პროლეტარიატის დიქტატურას და საბჭოთა ბატონობას თან სდევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, აუცილებელი განადგურება, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა სახელმწიფო რესპუბლიკანურ დემოკრატიულია. 5) რეფორმების გზის საწინააღმდეგოთ ყოველი რევოლუცია მოასწავებს უკიდურესათ მწვავე კრიზისს, რომელიც ჩვენგან დიდ მსხვერპლს მოითხოვს, 6) პრესის და კრების თავისუფლების დაშვება ეს იგივე იქნებოდა, რომ ბურჟუაზიის უფლება მივეცით საზოგადოებრივ აზროვნების მოწამვლისა, 7) თვით ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციის გზით შეიძლება მხოლოდ მივამხროთ ექსპროპრიაციის საგნით გამხდარი მასსა. მხოლოდ თავის გამარჯვების შემდეგ შეუძლია პროლეტარიატს გაჰყვეს მცხოვრებთა ის წრეები, რომლებიც წინათ ბურჟუაზიას მიჰყვებოდა, 8) გერმანიის „დამოუკიდებელნი" და „კონგეტისტები*) არავითარ ზომებს არ ღებულობენ არმიის წითელ არმიათ გადაქცევათ და უკანონო ზომებზე ბრძოლას ისეთივე უკანონო საშუალებებით არ უპასუხებენ, 9) კაპიტალიზმის ექსპროპრიაცია უნდა მოხდეს არა რეფორმების, არამედ კონფისკაციის საშუალებით, 10) „დამოუკიდებლები" „სპარტაკ"-ის პარტიას უნდა შეუერთდენ.

ამ პუნქტების შესახებ „ფორვერტსი" სწერს: „ის გერმანელი მუშები, რომელნიც კლარა ცეტკინთან ერთათ კომუნისტურ საპოთხეზე იცნებობენ, ცოტა არ იყოს გაოცდებიან, როცა გაეცნობიან რუსეთის შეხედულებებს ამ მოკლე, მაგრამ ნათელი გადმოცემით. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ეს პუნქტები შეიცავენ, სოციალიზმის მიღწევის სოციალისტურ მეთოდებისაგან სავსებით ხელის აღებას და მის მაგიერ შეიარაღებისაკენ უაზრო მოწოდებას. რუსეთის „მარქსისტები" პრინციპათ იხდიან ყველა იმას, რის წინააღმდეგაც მუშათა კლასი ყველა სულმასწავლო საშუალებით იბრძოდა, ყველა იმას, რასაც მუშათა კლასის **მოწინააღმდეგე კაპიტალისტები** იცავდენ, სახელდობრ: ბეჭდვითი სიტყვის და კრების თავისუფლების ჩახშობას და აგრეთვე ძალმომრეობას. ერთი ფრაზით რომ დავახასიათოთ, რუსულ თეორიას მივყევართ **კლასობრივ ბრძოლის სამოქალაქო ომით შეცვლამდე.** ეს აზრი წითელი ზოლივითაა გატარებული ათსავე პუნქტში. ის მუშები, რომელნიც სწორედ **კლასობრივ ბრძოლის ინტერესებით სამოქალაქო ომის მოწინააღმდეგენი** არიან, ძალიან გაოცდებიან, როდესაც გაიგებენ, რომ დიქტატორი ლენინი მათ ლანძღავს „რეაქციონერების" სახელწოდებით, ხოლო მოსკოვის მეგობრები, რომელთაგან ბევრმა (თუნდაც დღეს არ სურდეთ ამის აღიარება), ფონ-კაპპას ბოროტმოქმედების დღეებში, სწორედ **რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ გერმანიას** დაუჭირეს მხარი, არა გვგონია დაკმაყოფილდენ, როცა შეიტყობენ, რომ სახელმწიფო უნდა განადგურდეს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც იგი რესპუბლიკანურ-დემოკრატიულია, ე. ი. ისეთი ფორმის წყობილებისა, რომელიც, კაუცკის აზრით, აუცილებელი პირობაა სოციალისტურ საზოგადოების, წესწყობილების განსახორციელებლად!

შემდეგ მოსულ ცნობებით კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა ზემოთ მოყვანილ ათი პირობის გარეშე დამოუკიდებლებს აგრძნობინეს, რომ მათ თავის წრიდან უნდა განდევნონ კ უცკი, გილფერდინგი და კრისპინი, რადგან, თუ რევოლიუცია მოხდა, „მერყევებს" შეუძლიანი გზა გადაუღობონ პარტიას. ასეთივე მოთხოვნილება წარუდგინეს იტალიის პარტიას ტურატის შესახებ და საფრანგეთის პარტიას ალბერტ ტომას და სხ. შესახებ. ასეთ გაფრთხილებას, ალბათ, თვითონ ვერ აიცდენს აგრეთვე გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში, რომ მან ხელი არ შეუწყო ამბოხებას რურის ოლქში. (ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა გერმანიის დამოუკიდებელთა" პარტია ამ „მოთხოვნილებებს", მოვიყვანთ ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში).

*) საფრანგეთის სოციალისტური პარტიის მობალშევიკო უმრავლესობა. **რედ.**

## მართლმსაჯულებისთვის

მას შემდეგ, რაც სასამართლო შეუდგა სრულიად გაეროვნებული გზით სიარულს, მას შეხვდა ერთი დაბრკოლება, რომელიც ჩვენდა საუბედუროთ ეხლაც თან სდევს მას.

ეს დაბრკოლება გახლავთ იურიდიულ ცოდნით აღჭურვილ პირთა კადრის უქონლობა.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამ კერძო დაწესებულებებში და სხვა და სხვა სახელმწიფოს ორგანიზაციებში მრავლად ჩაითრია იურისტი და ამით სასამართლოს ძალაუნებურათ ჩამოაცილა. როდესაც საჭირო გახდა სასამართლოს გაეროვნება, მთელი აპარატი ფეხზე დადგა, დაინიშნა ადგილებზე და თანამდებობებზედ ყველა ქართულის მცოდნე იურიდიულ კურს დამთავრებული, მაგრამ კადრის შემადგენლობა მალე გამოილია და სამართლის მმართველნი მოტიტვლებულ ადგილზედ დარჩნენ.

და რადგან აღარ იპოვებოდა ქართველი იურიდიულ ფაკულტეტის კურს დამთავრებულნი იძულებული შეიქნენ ან დაენიშნათ პირი ქართულის მცოდნე მხოლოდ საშუალო სასწავლებლის ცოდნით ან და ისევ დაეტოვებინათ უცხო ტომის არ მცოდნე სახელმწიფო ენის პირი. და გამოვიდა ბოლოს ის, რომ ჯერაც ვერ მოსპობილა თუნდაც გამოძიების წარმოება რუსულ ენაზედ და თანამდებობაზედ სრულიად უაზროთ დატოვება ხალხისა, რომელთაც ქართული წარმოებათა გამო არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ამავე დროს კი, თუ გადახედავთ მეორე მხარეს, სადაც თავი მოუყრია ახალგაზრდობას—სავსე ღონით, სიცოცხლით და ცოდნის წყურვილით გულხელდაკრეფილი ზის და ულქერის მომავალ ბედის წერას და ხარბად ეწაფება ყველა ხმებს აი ეხლა გადასწყვეტს იურიდიული ფაკულტეტის დაარსება, შემოდგომაზე გახსნა. აქ მრავალი ძალაა! საერთო მდგომარეობის აღრევამ რუსეთში მეცადინე ახალგაზრდა სტუდენტობას მოუსპო სწავლის დამთავრების საშუალება და ნახევრად მომზადებული იურისტი დასტოვა შუა გზაზედ, იმავე მდგომარეობამ ახლად კურს დამთავრებულ ჭაბუკს არ მისცა საშუალება დაეწყო მაინც სამართლის მეცნიეროების გაცნობა და ვინაიდან მხოლოდ ამის სურვილი აქვთ და წადილიც. ვინაიდგან საგნის სიყვარული, ინტერესი და უნარი აქეთ უძახის მათ—შეჩერებულ არიან გაყინულ წერტილზედ და ისღა შერჩენიათ იუსტიციის დაწესებულებებში საკანცელარიო მოხელის ადგილზედ იმსახურონ და პრაქტიკული ვარჯიშობით და თვალყურის დევნით მაინც შეისწავლონ რაიმე.

დრო კი მიდის, არვინ ფიქრობს რამდენადაც კი ჩვენ ვიცით ამ საკითხზედ და მოწმენი ვხდებით იმ გარემოებისა, რომ როდესაც თანამდებობის პირთ დასჭირდებათ სასამართლოში დიდს საგონებელს ეძლევიან და კლეპტრებს ანთებენ მის საპოვნელად.

ახალგაზრდა ძალა კი დაგუბებულია და არ იცის სად წავიდეს.

წარსულ წელს იყო ცდა, მაგრამ იგი დამარცხებულა, როგორც ვიცით პირადი ინტერესების გულისთვის. ბ. არსენიძეს მინისტრად დანიშვნით ახალთაობას იმედი მიეცა საკითხის მოგვარებისა, თითქოს ხმა გავარდა მინისტრი ზრუნავს ამ კითხვაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დუმილით არის მოსილი მართლმსაჯულების მოედანი და ისევ კვნესის იგი თავის უწამლო ტკივილით.

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ამ წერილით ყურადღებას მივაქცევინებთ ბ. მართლმსაჯულების მესვეურებს და საფუძვლიანად დავაფიქრებთ ამ საკითხზედ და მოკლე დროში პრესის საშუალებით გვეღირსებით დადებით პასუხს მათგან.

ამით ნურვინ იფიქრებს, რომ მარტო დაინტერესებული ახალგაზრდობა მოითხოვს, არამედ ამას ფართოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს, როგორც გ ნუცხადებიათ კერძო საუბარში.

ჩვენ გვეტყვიან არ არიან ამისთვის სათანადო პროფესორები და არ შეიძლება გაიხსნას სრულ უფლებიან უნივერსიტეტის ფაკულტეტიანი.

მაგრამ გეკითხებით, რომელი ფაკულტეტი გაიხსნა ყველა საგნების პროფესორთა რიცხვის ყოლით?

და თუ მაინც და მაინც ეს გარემოება საკმაო მძიმე დაბრკოლებებს წარმოადგენს, მაშინ კურსები მაინ დაარსდეს და ან კი მოსურნეთ მიეცეს უფლება, მიუხედავად თუ რომელ კურსზედ ან ფაკულტეტზედ შესწყვიტა სწავლა ან და თუ გინდ სავსებით არ ყოფილა უნივერსიტეტში და მხოლოდ გიმნაზიის დამთავრების მოწმობა აქვს, ჩააბაროს ყველა იურიდიული საგნები თუ კი ამას თვით მოისურვებენ...

ცოტაა გამოსავალი?!

თორემ ვინც კი იცნობს შინაურულად და დაახლოვებით სასამართლოს ეხლანდელ მდგომარეობას, დაგვერწმუნება თუ წელს არ გაიხსნა შესაფერი დარგი იურიდიული სწავლულობისა, მართლმსაჯულება განსაცდელშია კადრის უქონლობის მხრივ **—ური.**

## მოკლე ცნობები შავი ჭირის შესახებ

(დასასრული)

შავი ჭირის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჭირიან სახელმწიფოს მხრივ საზღვრები სასტიკად შეიკრას. დაავადებულ სახელმწიფოდან მომავალ გზებზედ და ზღვის პირა დიდი ქალაქებში, სადაც უცხოეთის გემები შემოდიან, უნდა ლაბორატორიებით სასანიტარო პუნქტები გაიხსნას, პუნქტებზედ ყველა უცხოელი. მით უმეტესად საეჭვო პირი, უნდა დიდი ყურადღებით ისინჯებოდეს და თუ საჭირო იქნება სავალდებულო ვადის განმავლობაში კარანტინში მოთავსდეს. კარანტინში საეჭვო პირს ავადმყოფობის მხრივ ბევრნაირად სცდიან და ამოწმებენ. მის ბარგს და ტანისამოსს შესაფერ დეზინფექცია უკეთებენ. და მხოლოდ კარანტინის სავალდებულო ვადის გასვლის შემდეგ დროებით სანიტარულ ტყვეობისაგან ანთავისუფლებენ. ჭირიან ქვეყნიდან მოსულ გემებს დიდის სიფრთხილითა და ყურადღებით შინჯავენ. გემის ყველა ნაწილებში, მით უმეტესად ძირის საბარგო ნაწილებში (დასახელებულ კონვენციის ძალით) საგანგებო ქიმიურ დეზინფექციას აკეთებენ, რომ გემზედ მოყოლილი ვირთაგვები გაიჟლიტნენ და ჭირის შემოტანის ყველაზედ სახიფათო საშუალება მოისპოს. გემებიდან გადმოტვირთულ საეჭვო ბარგს საგანგებოდ დამზადებულ საწყობებში ინახავენ ხელმეორედ დეზინფექციის გასაკეთებლად. თუ ვინიცობაა შეკრულ გზებზედ, ან ზღვის პირა მდებარე ქალაქებში მოსულ მგზავრებთა შორის შავი ჭირით დაავადებული აღმოჩნდა მას კარანტინში ათავსებენ ზემოდ ნაჩვენებ წესების შესასრულებლად.

მიუხედავად ყოველნაირ საჭირო მიღებულ ზომებისა თუ ვინცობაა შავმა ჭირმა სოფელში ან ქალაქში თავი იჩინა საჩქაროდ უნდა ჭირიან ადგილს ალყა შემოარტყან, რათა ჭირიან ადგილთან ყოველნაირი კავშირი და მიმოსვლა მოისპოს. **არც ერთი ადამიანი ჭირიან ადგილიდან ალყას აქეთ არ უნდა გამოვიდეს.**

დაავადებულ ადგილში სასწრაფოდ ჭირიანთათვის საგანგებო საავადმყოფო იხსნება—ყველა ავადმყოფი იქ იგზავნება. ავადმყოფთ კან ქვეშ საწამლებელ შრატს უშხაპუნებენ. ავადმყოფთა მახლობელნი საცდელად და საკვლევად კარანტინში თავსდებიან. ყველას ასაცრელი მასალით შავ ჭირს უცრიან. **აცრით შეიძლება ადამიანს ავადმყოფობა ხუთი ექვსი თვის—განმავლობაში არ შეხვდეს.**

ჭირიანთა ბინებს, ბარგს და საერთოდ ქონებას საჭირო დეზინფექციას უკეთებენ. წარსულში ზოგიერთ შემთხვევებში ხალხის გამოხიზვნის შემდეგ ჭირიან სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ და მცხოვრებთა ავლადიდებას სწვავდნენ.

ეხლაც რის დაწვაც შეიძლება უმჯობესია დაიწვას. სდგება საგანგებო რაზმები, რომლებიც ყოველნაირი საშუალებით—ქიმიურად და მექანიკურად—ვირთაგვების გაწყვეტას აწარმოებენ. (წარსულში საგანგებო ჯილდოც კი ეძლეოდათ თითო ცოცხალ ან მკვდარ ვირთაგვაში). ყველგან საჭირო დეზინფექცია კეთდება. სუყველაფერი სუფთავდება და ირეცხება. შესაფერისი ცნობები ვრცელდება შავ ჭირთან ბრძოლის შესახებ საგანგებო ადგილებში ყველას შავჭირს უცრიან. თუ თავის დროზედ ნაჩვენებ გზით და დასახელებულ საშუალებით შავი ჭირი ერთს ადგილს მომწყვდეულ იქნება, იგი აღარ ვრცელდება და ისპობა.

უკანასკნელად აღნიშნული ავადმყოფობის შემთხვევის ერთი ორი თვის შემდეგ ყველა მიღებული ზომები იხსნება.

კერძოთ ყველა ასე უნდა მოიქცეს: ავადმყოფობა უეჭველად უნდა აიცრას—რომ ექვსი თვის განმავლობაში ავად გახდომისაგან თავი უზრუნველჰყოს. ყველამ თავის გარშემო ბინაზედ, ეზოში, კარ მიდამოზედ, ფეხის ადგილებში საგანგებო სისუფთავე უნდა დაიცვას. **ყველას მუდამ უნდა ეხსოვდეს, რომ როგორც შავი ჭირის, აგრეთვე ყველა დანარჩენი გადამდები ავადმყოფობის ბაცილები მხოლოდ უსუფთაობაში და ჭუჭყში იზრდებიან, ვრცელდებიან და მერე გადამდებ სენებს ავრცელებენ. ბუზი, რწყილი, ვირთაგვა და თაგვი ყოველნაირი საშუალებით უნდა მოისპონ.** წებოიანი ქაღალდი, სპარსული ფხვნილი, კატა მახე და სხვა საშუალებანი დიდს დახმარებას გაგვიწევენ. **უნდა გვახსოვდეს რომ ფილტვების შავი ჭირის გადადება ავადმყოფის მიერ ჰაერში წინწკლებად გაბნეული ნახველით ხდება.** ავადმყოფის ხველას უნდა ვერიდოთ და თუ შეუძლებელი იქნება „რესპირატორი" (სახეზედ გასაკეთებელი სასუნთქი მანქანა) ვატაროთ.

**ჯირკვლების შავი ჭირის ბაცილები ჯანმრთელ ადამიანის სხეულში უფრო ხშირად დაზიანებულ კანის ნაპრალებით ან გაკაწრულ-გაფხაჭნილი ადგილებით შედიან. ჭუჭყიანი ხელით შესაძლებელია დაფხანვის დროს სნება კანში ჩვენვე შევიტანოთ და მით თავი ავად გავიხადოთ.** კანის ყოველნაირ სულ უბრალო დაზიანება—გაფხაჭნასაც კი უნდა ვერიდოთ და თუ შემთხვევით დავიზიანეთ სადმე, კანი მალე უნდა მოვირჩინოთ. **სახის, ხელის და საერთოდ ტანის საგანგებო სისუფთავე უნდა დავიცვათ.** თუ ოჯახის წევრი გაგვიხდა ავად აუცილებლად ჭირიანთათვის საგანგებო ბარაკში უნდა მოვათავსოთ.

თუ ეს არ მოხერხდა ავადმყოფი განცალკევებულ ოთახში უნდა დავაწვინოთ და მას ერთი მომვლელი მიუჩინოთ. ავადმყოფს სუყველაფერი: ჰურჭელი, საცვალი და სხვა განცალკევებული

უნდა ჰქონდეს. მომვლელს ტანისამოს ზევიდან სადეზინფექციო სითხეში გაჯლებული ხალათი ან რეზინის ან გარეზინიანებული საგანგებო ტანისამოსი უნდა ეცვას და ავადმყოფის ოთახიდან გამოსვლისას იქვე სტოვებდეს. სჯობიან აგრეთვე მომვლელი ავადმყოფთან მუდამ კალოშებში და რეზინის ხელთათმანებში იყოს. ავადმყოფის ოთახში მომვლელისათვის ჭამასმა ყოვლად შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პირადი საგანგებო სისუფთავის დაცვა—არის უმთავრესი საშუალება შავი ჭირის თავიდან აცილებისა. თუ ვინმემ ერთხელ გადაიტანა შავი ჭირი, მეორედ ავად აღარა ხდება.

ექ. ი. ლომაური.

## სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის საკითხი

26 აგვისტოს ამხ. ხელაძის თავმჯდომარეობით შესდგა თფილისის პროფეს. კავშირთა სეკრეტარიატის და სახალხო უნივერსიტეტის სარეორგანიზაციო კომისიის შეერთებული სხდომა, რომელზედაც ხსენებულ კომისიის თავმჯდომარემ მ. კონიაშვილმა სხდომას გააცნო კომისიის მუშაობა.

ამა წლის იანვრისათვის სახალხო უნივერსიტეტის მდგომარეობა მეტად დამძიმდა: ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც შედგენილი იყო 1919—1920 აკადემიური წლის დასაწყისში და უდრიდა 545,000 მანეთს, ცხოვრების საშინელი გაძვირების გამო მეტად მცირე აღმოჩნდა. ამასთანავე ზოგიერთმა საზოგადოებებმა და დაწესებულებებმა დაპირებული წვლილი არ შემოიტანეს და იანვრის დასაწყისში უნივერსიტეტს ემართა ლექტორების, მოსამსახურეების და სხვ. 225,000 მანეთი შემოსავალი კი არ იყო მოსალოდნელი.

ასეთი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად უნივერსიტეტის თავმჯდომარემ ს. ჟორჟოლიანმა და გამგემ ი. ანთაძემ, პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ხელაძემ და მუშათა კლუბის თავმჯდ. შ. რამიშვილმა ინახულეს ქალაქის მოურავის ამხანაგი კონიაშვილი და სახალხო განათლების მინისტრის ამხ. ნ. ცინცაძე. უკანასკნელმა აღუთქვა უნივერსიტეტს 300,000 მანეთით დახმარება მიმდინარე წლის დასრულებამდე. მომავალი აკადემიური წლისათვის კი მისცა შემდეგი წინადადება: ვინაიდან თქვენს მეცადინეობას სისტემა არ აქვს და ამიტომ შედარებით ნაკლები სარგებლობა მოაქვს, მოიყვანეთ თქვენი მუშაობა სისტემაში, შეიმუშავეთ გეგმა და სამინისტროც ყველაფრით დაგეხმარებათო.

თანახმად წინადადებისა მოწვეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიოდნენ: სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი, ქალაქის მოურავის ამხ. კონიაშვილი, დამფ. კრების სწავლა-განათლების კომისიის თავმჯდ. ლ. ნათაძე, დამფ. კრების წევრი გ. ნათაძე, სახალხო უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი ვ. ჩერქეზიშვილი და ი. ნაკაშიძე, ლექტორი მანდელშტამი (ლიადოვი), სახალხო განათლების სამინისტროსაგან წარმომადგენლად იყო პედაგ. ზანდუკელი, პროფ. კავშირებიდან ი. ჩხენკელი და სახალხო უნივერსიტეტიდან თავმჯდომარე ს. ჟორჟოლიანი, მდივანი გ. ლორთქიფანიძე და საქმეთა გამგე ი. ანთაძე.

კომისიის პირველი კრება მოწვეული იყო 29 მაისს, მაგრამ არ შესდგა, რადგანაც მოწვეულ პირთაგანი ბევრი არ მოვიდა და მომხსენებელი ს. ჟორჟოლიანიც ფრონტზე იყო წასული, ამიტომ კრებამ მიიღო არა ოფიციალური, საიმფორმაციო ხასიათი.

სახალხო უნივერსიტეტი 1920 წელს ივნისში ჯარისკაცთა დეპუტატების ხელიდან გადავიდა პროფესიონალურ კავშირთა კუთვნილებაში. უნივერსიტეტის ხელმძღვანელად კავშირმა მოიწვია უნივერსიტეტის საბჭო, რომელიც შესდგებოდა 13 საზოგადოების და დაწესებულების სამ-სამ წარმომადგენლისაგან. ასეთი დიდი შემადგენლობა საბჭოსი მეტად ტლანქი გამოდგა და მალე დაიშალა კიდეც. ასეთი ორგანიზაციის დაარსების დროს სეკრეტარიატს იმედი ჰქონდა, რომ მოწვეულ ორგანიზაციებს უნივერსიტეტის არსებობაში დაინტერესებდა და კულტურულ ძალებსაც მოუპოვებდა სახელმძღვანელოდ. უნივერსიტეტის საბჭომ აირჩია გამგეობა 11 კაცისაგან შემდგარი და მათი კანდიდატები. ამის შემდეგ საბჭო აღარ შეკრებილა და გამგეობა შეიქმნა უპასუხისმგებლო გამგებელი სახალხო უნივერსიტეტისა. ამ ხანებში გამგეობის შემადგენლობაც შემცირდა, ვინაიდან ნაცვლად უკვე წასული წევრებისა ახალი აღარ ემატებოდა. ასეთი მდგომარეობიდან გამოსასვლელად პროფ. კავშირთა სეკრეტარიატმა თითონ იკისრა უზენაესი გამგებლობა და საჭირო წევრებიც თვითონ დანიშნა. უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო სამოსწავლო მხარე უნივერსიტეტისა. უნივერსიტეტს არ ჰყავდა გამოცდილი და საჭირო ლექტორები და ხელს უშლიდა ძალიან უსალსრობა.

შემდეგ კომისიას ჰქონდა რამდენიმე სხდომა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახალხო უნივერსიტეტის საქმის გაძღოლა უნდა მიენდოს, მისი არსებობით პირდაპირ დაინტერესებულ დაწესებულებებს. ასეთ დაწესებულებებათ კომისიამ მიიჩნია სახალხო განათლების სამინისტრო, ქალაქის გამგეობა, პროფეს. კავშირთა საბჭო, სახელმწიფო უნივერსიტეტი და ლექტორთა კოლეგია. ამათ წარმომადგენლები შეადგენენ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას. მოწვეული უნდა იყოს რექტორი და დეკანები ესენი ლექტორთა კოლეგიამ უნდა მოიწვიოს. თავის შინაურ ცხოვრებაში სახალხო უნივერსიტეტი სრულიად დამოუკიდებელია და იმ დაწესებულებებს, რომელნიც უნივერსიტეტს ინახავენ მხოლოდ კონტროლის უფლება აქვთ.

კამათის შემდეგ შეერთებულმა კრებამ დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი რეორგანიზაციისა.

წესდების შემუშავება დაევალა ახალ გამგეობას, რომელიც სულ მოკლე ხანში უნდა შეუდგეს მუშაობას.

პროფეს. კავშირთა საბჭოს წარმომადგენლებათ სახალხო უნივერსიტეტის ახალ გამგეობაში არჩეულ იქნენ ამხ. დევდარიანი და ი. ჩხენკელი, კანდიდატათ—ამხ. ბერეჟიანი.

## ტყის „დაცვა“

(წერილი გურიიდან).

არ შემიძლია ციფრებით აღვნიშნო ის სიმდიდრე, რასაც წარმოადგენს ერკეთის და ხევის (გურია) რაიონში მდებარე ტყეები. სისწორით შეიძლება ითქვას, რომ ეს აუარებელი სახელმწიფო ქონება დღეს პირდაპირ ნადგურდება. ერთი ხის მოჭრის ნებართვით ათი იჭრება, ათი ხის ნებართვით—ორმოცი. ამის საილუსტრაციოთ მოვიყვან მაგალითს: მეგრელიძემ აიღო ნებართვა ოცი ძირი თავწამხმარი ხის მოჭრისა, მაგრამ მოჭრა კი ას-ოთხმოცდა-ხუთი ძირი სავსებით მოზარდი ნაძვი და წაბლი. როცა მეგრელიძემ ნება-დართული ოცი ძირი, თუ გინდ ოცდა ათი მოჭრა, რატომ არ იქნა ის შეჩერებული ტყის მცველის მიერ. ეს ხომ ერთი და ორი დღის საქმე არაა. მაგრამ როგორც საზოგადოება ხედავს, ტყის მცველი ამ დროს ან სადათას ძალით იყო შეპყრობილი, ან და ეხმარებოდა მოჭრაში. როდესაც ამოდენა ხეები მეგრელიძემ ჩამოალაგა წამოსაღებათ მდინარეების პირად და აურ-ზაურით შეხვდა ამ მოვლენას საზოგადოება, მხოლოდ მაშინ გამოჩნდა ტყის გამგის თანაშემწე ბ. ჩხაიძე და შეადგინა ოქმი. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ ბოლოს და ბოლოს როგორ ნახევრდებიან და ან ქრებიან ეს ოქმები და ბოროტის ჩამდენი—მომჭრელი თავის მიზანს მაინც აღწევს. ხაზინა კი ზარალობს. ამასთან მოვეხსენებათ, რომ ტყის მცველებს შეღავათიან ფასებში ეძლევათ ბილეთები ხის მოსაჭრელათ; ამათთვის კი ეს გარემოება „გამოსარჩენს“ შეადგენს, რადგანაც, როცა თვითონ არ საჭიროებენ ხე-ტყეს, ასეთ ბილეთებს მაინც იღებენ და სხვებზე ძვირათ ყიდიან, მაგალითად, ექვსას მანეთიან ბილეთს—ათას რვაას მანეთად. ჩვენ გვგონია ამოდენა ქონების დაცვა უნდა ქონდეს ჩაბარებული საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილ პირებს და არა ყველა გამვლელებს. დღეს კი ეს ასე არ არის.

## კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში.

მესამე ქვეითა ათასეულში.

აგერ სამი თვეა რაც სამკითხველო დაარსდა, რომელშიაც არის თითქმის ყოველნაირი გაზეთ-ჟურნალები და რამოდენიმე წიგნები.

21 აგვისტოს მესამე ათასეულის სცენის მოყვარეთა მიერ ქ. ქობულეთში იყო დადგმული წარმოდგენა; წარმოდგენილი იყო: 1) „აჭარა“ (დრამა ერთ მოქმედებად) და 2) „ნამუსიანი ხალხი“ და სხვა გასართობები. ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩნენ. წმინდა შემოსავალი დარჩა 8,145 მანეთი, რომელიც გადაეცა სამკითხველოს გამგეს.

ამავე ათასეულში მყოფ წერა-კითხვის უცოდინარ ჯარის კაცთათვის ამ დღეებში გაიხსნება სკოლა. სკოლისთვის შეძენილია უკვე სამოსწავლო ნივთები; რვეულები, ფანქრები და წიგნები არა ნაკლები 150 კაცთათვის. ვინაიდან დღეს დღეობით ამ სკოლისათვის საპასუხისმგებლო ინსტრუქტორი (მასწავლებელი) არა გვყავს, საჭიროა გამოიგზავნოს ასეთი.

ლომენტი თარგამაძე.

## სახალხო გვარდიაში

სამეგრელოს გვარდიის საოლქო შტაბი აცხადებს, რომ სამეგრელოს პირველი ბათალიონის პირველი გუნდის გვარდიელი ბესარიონ ნიკოლაძე ნაჭყებია გამორიცხულია გვარდიიდან როგორც არა სასურველი პიროვნება და ამავე შტაბის გვარდიელი მეჯინიბე ტატო ბაბილიძე გამორიცხულია ქურდობის გამო.

სამეგრელოს საოლქო შტაბი.

---

თანახმად ახალციხის საოლქო შტაბის დადგენილებისა 22 ივლ. 1920 წ. № 142, გვარდიელი მეორე გუნდისა ელიზბარ გარსიაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ყალბი შვებულების ბარათები და შტაბის კანცელარიის ბლანკები სრულებით განდევნილია გვარდიიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

ახალციხის საოლქო შტაბი.

---

**სად. ბეუქ-კასიქი.** 23 აგვისტოს სად. ბეუქ-კასიქში რამოდენიმე ამხანაგები გავხდით მოწმე შემდეგი ამბავისა: დაახლოვებით დღის 4 ს. საკაცით მოიყვანეს ავათმყოფი გვარდიელი, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები ძლივს ეჩნეოდა, მოიყვანეს და დასდვეს სადგურის წინ. აქ არის სანიტარული ნაწილი, რომელიც ვალდებულია აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება ავადმყოფ გვარდიელებს. როდესაც ავადმყოფი მოიყვანეს, დაუძახეს ფერშალს ბ-ნ თევზაძეს, მას არავითარი დახმარება არ მიუცია ავადმყოფისათვის, მან თავის გაქნევით წაილაპარაკა: „რუსეთ-გერმანიის ფრონტზედაც ათასობით იხოცებოდნენ, მაგრამ იმისთვის თავი არავის მოუკლავსო.“ ამ სიტყვებით ბ-ნ ფერშალი გაბრუნდა, ავათმყოფი დარჩა უპატრონოთ მიტოვებული. ერთმა გვარდიელ-აგანმა შენიშნა ფერშალს, რომ ის ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს. სამაგიეროთ ბ-ნმა თევზაძემ უპასუხა უკმეხად: „ჩვენ აქ არავითარი დახმარება არ შეგვიძლია მივსცეთო, მოვა მატარებელი და გავგზავნი თფილისშიო. ავათმყოფი გარეთ იყო 4 საათიდან ღამის 10 საათამდე ასეთმა უყურადღებობამ ავათმყოფის მიმართ გვარდიელებში გამოიწვია უკმაყოფილება. ხელმეორეთ კიდევ მიმართეს ფერშალს, რომ ავათმყოფი სანიტარულ ვაგონში მაინც შეეყვანა, მაგრამ ფერშალი გაიძახოდა, რომ მისთვის მანდორაში უკეთესიაო. საინტერესოა ვიცოდეთ ასეთ ალაგას, როგორიცაა სად. ბეუქ-კასიქი თუ ავადმყოფისთვის მანდორაში უმჯობესია, მაშინ რაღა საჭიროა აქ სანიტარული ნაწილი? საჭიროა მიექცეს სათანადო ყურადღება ვისთანაც ჯერ არს.

გვარდიელი აკაკი წიწაძე.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 26 აგვისტ. ამხ. ს. ვადაჭკორიას თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) ამხ. ირ. რამიშვილის განცხადება, 2) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 3) პარტიული წიგნაკების შესახებ, 4) ორკესტრის შეძენა. პირველი კითხვის შესახებ სხდომა ისმენს ამხ. ირ. რამიშვილის განცხადებას, სარევიზიო კომისიის წევრთა მოწვევის შესახებ და ადგენს, მომავალ სხდომაზე მოწვეულ იქნას სარევიზიო კომისიის წევრები. მეორე კითხვის შესახებ სხდომამ მოისმინა უ. ელიავას მოხსენება თფილისის კომიტეტის უკანასკნელი დღეების მუშაობის შესახებ და იქ განხილულ კითხვათა შორის მორიგ სხდომაზე განსახილველათ გამოყო კითხვა მუშათა პრესის შესახებ. მესამე კითხვის შესახებ სხდომა ავალებს თფ. კომ. წარმომადგენელს გამოარკვიოს პარტიული წიგნაკების ფასი, რომ ყველგან ერთ ფასათ იყიდებოდეს. ეხლა მისი ფასი განისაზღვროს 15 მანეთით. მეოთხე კითხვის შესახებ, სხდომამ მოისმინა გვარდიის შტაბის განცხადება ორკესტრის შეძენის შესახებ, პრინციპიალურათ დაეთანხმა, ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა კითხვების გამოსარკვევად აირჩია სამი პირისაგან შემდგარი კომისია: უ. ელიავა, გ. უსეინაშვილი და ნ. ნიკიტინი.

X.

---

**თფ. რკინის გზის სადგური.** შესდგა თფილისის ქვე კოლექტივის კრება. განსახილველი იყო განცხადებები იმ პირებისა, რომელთაც სურთ შევიდნენ ს. დ. პარტიაში.

გამოირკვა, რომ უკანასკნელ დროს ბევრია მსურველი პარტიაში ჩაწერისა; შესაძლოა არა სასურველი ელემენტების შემოსვლა. ამის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ერთი თვის განმავლობაში მსურველთა ყოველმხრივი გაცნობა.

შემდეგ დაეგზავნა ყველა „იაჩეიკებს“ ცირკულიარული მიმართვა, რომ წევრების მიღების დროს იქნეს განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული.

ს. ქრისტინეშვილი.

---

**ს. ოფურჩხეთის თემი.** 15 აგვისტოს, ოფურჩხეთის წვრილი ერთეულების გამგეობის არჩევნების შემდეგ, შესდგა ს. დ. მ. პ. დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო 40 წევრი. მოხსენება გააკეთა, ქუთაისის მაზრის სოც. დ. პ. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელმა კ. ჭიჭინაძემ, რომელმაც ფართოთ გააცნო დამსწრეთ მუშათა მოძრაობა, აგრეთვე გააცნო დამსწრეთ ზოგიერთი მუხლები პროგრამისა, შემდეგ მოხდა არჩევნები კომიტეტის. არჩეულ იქნა გ. ბარათაშვილი, (გუმათის მასწავლებელი) პ. ჯიშკარიანი, ბ. ჯიშკარიანი, კ. გიდენიძე, კ. კვინცარიძე, ს. ჭანგავაძე, ი. ბოჭორიშვილი. პრეზიდიუმში: თავმჯდომარეთ კ. კვიცარიძე, მდივნათ გ. ბარათაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ კ. გედენიძე.

ამავე დღეს მოხდა თემის გამგეობის არჩევნები. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. კვინცარიძე, მდივნათ—ნ. ავალიანი, თავმჯდომარის ამხანაგათ—ქ. ავალიანი.

მასწავლებელი.

## მუშათა შორის

**ფოთი.** ნება მიბოძეთ ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალური კავშირის სახელით პასუხი გავსცე იმ კორესპონდენციას, რომელიც იყო მოთავსებული „ახალი კომუნისტი“-ს 25 №-ში.

1) კორესპონდენტი ირწმუნება, ვითომ კავშირის შემყურე უმუშევართა რიცხვი 500 კაცამდე ასულიყოს. ეს არასოდეს არ ყოფილა მაქსიმუმში უმუშევართა იყო 150 კაცი და ესეც იმ დროს, როდესაც კავშირს მოაწყდა ლტოლვილი დენიკინელები. გადამტვირთველ მუშათა პროფ. კავშირი ყოველთვის აძლევდა უმუშევარ ამხანაგებს სამუშაოს. ყოფილა შემთხვევები, რომ კავშირის მუშებს თავისი სამუშაო გადაუციათ მათთვის. თუ ყველა უმუშევარნი ვერ დააკმაყოფილა კავშირმა, ეს არ ამბობს კავშირის ბოროტ-ნებაზე. სამუშაოს შოვნა დამოკიდებულია იმ გემების რაოდენობაზე, რომლებზედაც მუშაობენ მუშები. ბევრია გემები, ფართოვდება ექსპორტ-იმპორტი უმუშევარნი შოულობენ სამუშაოს; ცოტაა დასატვირთო გემები, მცირდება წარმოება—მაშინ თვით კავშირის წევრ მუშებს არ ყოფნის სამუშაო. ამ უბრალო მოვლენას არ ხედავს მხოლოდ ბოროტი თვალი „ახალი კომუნისტის“ კორესპონდენტისა.

2. სიყალბეა იმისი მტკიცება, ვითომ კავშირის მუშები უმწეო მდგომარეობაში იყვნენ რესპუბლიკის სხვა მუშებთან შედარებით. უკანასკნელ დღეებში, როცა ქალაქში სიმინდის ფქვილს კოოპერატივი და ქალაქი 5 გირვანქობით არიგებდა—კავშირმა დაურიგა თავის წევრებს ფუთნახევარი სიმინდი თითოს.

3. სიცრუეა, ვითომ ერთდროული დახმარება მუშებს არ მიუღიათ. ივლისის ერთდროული დახმარება მუშებმა მიიღეს და დღიურ მუშებსაც დაურიგეს. ხოლო ივნისის თვის ერთდროული დახმარება გადადებულ იქნა მუშათა სახლისთვის საზოგადო კრების დადგენილებით. ორი დღის ნამუშევარი სახლისთვის არავის „მიუყოლებია ზედ“. სირცხვილია ასეთი ტყუილი.

4. ტყუილია ისიც, ვითომ მენშევიკ ს. მეგრელიძეს აგიტაცია გაეწიოს ივნისის ერთდროული დახმარების სახლისთვის გადაცემის წინააღმდეგ და ამხ. კომახიძეს მისთვის დაეყვიროს გამგეობის სხდომაზე „ან შენ და ან მეო“. გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. მეგრელიძემ მე მთხოვა ოფიციალურათ: გთხოვთ გაზეთის საშუალებით უარყოთ ეს ცილისწამებაო.

5. რაც შეეხება ხორბლის გადმონატვირთ ხელფასის 700.000 მანეთის სამინისტროსთვის უკან დაბრუნებას, საქმე ასე იყო. კავშირმა აიღო 14 მანეთი ფუთზე, ვინაიდან ოპერაცია იყო ორმაგი. ეს ფასი აღემატებოდა ტარიფს და მომარაგების სამინისტრომ გაასაჩივრა შრომის სამინისტროში. დანიშნულ იქნა სპეციალური კომისია, სადაც შედიოდნენ შრომის და მომარაგების სამინისტროების წარმომადგენელნი და, როდესაც კომისია დარწმუნდა ორმაგ ოპერაციის წარმოებაში, ფასი 14 მანეთი მიღებული იქნა. არავის არ მიუცია წინადადება მუშებისთვის: 35 ვაგონი შავი ქვა გადმოტვირთეთ და ეს ფულები სამინისტროს გადაეცითო. არავის ამ საკითხში მუშები არ მოუტყუებია, და თუ შეიძლება მოტყუებაზე ლაპარაკი ეს მხოლოდ „ახალი კომუნისტის“ კორესპონდენციაშია.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, აღვნიშნო ის აგიტაცია, რომელსაც ეწევიან ფოთის ბალშევიკები ფოთის მუშათა სახლის წინააღმდეგ. დღეს, საარაკო სიძვირისა და ნგრევის ხანაში! ფოთის მუშები სასახლეს აშენებენ. ვის სწყენია ეს? ვის სცემს ეს? ვის უნდა ჩაშალოს ეს? რასაკვირველია, ბ. ბ. კომუნისტებს! ისინი ორგანიულათ შეეჩვივნენ ნგრევას, მტვრევას. ისინი ვერ იტანენ საქართველოს მუშების აღმშენებლობითი მოქმედებებს. და აი, არ გაუვლია რამოდენიმე დღეს მუშათა სახლის საძირკვლის ჩაყრის შემდეგ, რომ ბალშევიკებმა მოინდომეს ამ საძირკვლის ჩაშლა. ტყუილი ცდაა! ფოთის მუშები თავის სახლს ააშენებენ. რცხვენოდეს „ახალ კომუნისტს“, რომ ამ სახლის საწინააღმდეგოთ აგიტაციას ეწევა. რცხვენოდეს იმისი მტკიცება, ვითომ მუშები „თავიდანვე წინააღმდეგი იყვნენ სახლის აშენებისა“. მუშებს არასოდეს არ უთქვამთ „ბ. ბ. მწარმოებლებმა ააშენონო“. იცოდეს „ახალ კომუნისტმა“, რომ ფოთის მუშები მწარმოებლებიდან ნაჩუქარ სახლში არ შევლენ! მუშები ამბობდნენ და ამბობენ: რაც ბ. ბ. მწარმოებლებს აქვთ, ის ჩვენი ხელიდან არ წავა თავის დროზე, ჯერ კი ჩვენ ჩვენი მუშური მარჯვენით ვაშენებთ ჩვენს სახლსო.

და კიდევაც ავაშენებენ!

კავშირის მდივანი რ. ქორქია.

## პროვინცია

**ქ. ზესტაფონი.** ამას წინად შესდგა ადგილობრივ კოოპერატივის „ერთობის“ საზოგადო კრება წლიური ანგარიშების დასამტკიცებლად. მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ბარნაბ ჯაფარიძემ; დანარჩენი წევრები კრებაზედ არ გამოცხადდნენ. სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა მელ. კიკნაძემ, მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ კოოპერატივს თავისი იდეიური ხასიათი სავსებით დაუკარგავს. ვაჭრობა ხდება იმავე წესით, როგორიც კერძო მაღაზიებში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კოოპერატივი საქონელს ღებულობს უფრო შეღავათიან პირობებში. საქონელი იყიდება ყველა მსურველებზედ, რაც კოოპერატივისათვის დიდი ბოროტებაა. წევრებს ნავაჭრი არ ეწერებათ წიგნებში. ამის გამო შეუძლებელია ნაყიდი საქონლის საფასურის რაოდენობის გამორკვევა და დივიდენდის განაწილება. კოოპერატივს უმეტესად უვაჭრია ისეთი საქონლით, რომელიც მოხვედრია, ბაზარზედ, რიგიანად სალდებოდა და არა პირველი მოთხოვნილების საგნებით. ჯამით ბრუნვა მთელი წლის განმავლობაში არ აღმატებულა ნახევარ მილიონს და დაუტოვებია წმინდა მოგების სახით 56.000 მ. ისეთ ცენტრში, როგორიც ზესტაფონია, ეს არ არის დამაკმაყოფილებელი.

კრებამ დაამტკიცა გასული წლის ანგარიშები და აირჩია ახალი გამგეობა. ამასთანავე გამოთქმული იყო სურვილი გამოსწორებულიყო კოოპერატივის საქმეები, მიეღო მას ნამდვილი კოოპერატიული სახე და გვერდი აეარა იმ არა სასურველი მოქმედებისათვის, რომელიც კოოპერატივს არ შეშვენის. ამის მიხედვით შესაფერისი შტატიც დაამტკიცა საზოგადო კრებამ.

X.

---

**შუხუთი.** (ოზურ. მაზ.) თექვსმეტ ივლისს შესდგა შუხუთის საბჭოს კრება იმნაიშვილის თავმჯდომარეობით. გამგეობის თავმჯდომარემ გ. ლომაძემ მოახსენა საბჭოს, თუ რა გააკეთა გამგეობამ 11 თვის განმავლობაში დღიდგან ერთეულის დაარსებისა. გამგეობას მოუწყვია თემის თვითმართველობა და შეუძენია მისთვის ყოველივე საჭირო ნივთები. გახსნილია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. დიდი შრომა და ენერგია დაუხარჯავს გამგეობას თემის საჭირო მაღაზიის მოწყობა მოწესრიგებაზე—რომლის შემოსავალი ყოფნის თემს 1920 წ. ყოველივე ხარჯების დასაფარავად. დაწყებულია სკოლის შენობის დამთავრება, რისთვისაც შეგროვილია საქმაო თანხა. შენობა დამთავრდება 3 თვეში. ერთდროული და სანიტარული გადასახადები თავის დროზე აუკრეფიათ და გადაუგზავნიათ დანიშნულებისამებრ. საგრძნობი თანხა შეუკრეფიათ და გადაუგზავნიათ დაზარალებულ გორელებისათვის. ჯეროვანი დახმარება გაუწევიათ ჯარის კაცების და გვარდიელების ოჯახებისთვის—ყანების დამუშავების სახით,

აი უმთავრესად ის, რაც გამგეობას მოწინავე ამხანაგების დახმარებით გაუკეთებია.

საბჭომ სთხოვა თავმჯდომარეს დარჩენ ლიყო თავის თანამდებობაზე, მაგრამ უკანასკნელის კატეგორიული უარის შემდეგ ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა ი. ოზაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ შუხუთის თემის გამგეობის მუშაობა მართლაც ნაყოფიერი იყო, მაგრამ ჯერ გასაკეთებელი კიდევ ბევრია: მაგალითად მედიკო-სანიტარიის მხრით არაფერი გაკეთებულა შუხუთის თემში. სიტყვით არსებობს ჯანმრთელობის კომისია, მაგრამ საქმით არაფერი გაუკეთებიათ.

საჭიროა ახალმა გამგეობამ მიაქციოს სათანადო ყურადღება გზის შეკეთება-გაფართოვებას და მედიკო-სანიტარულ საქმეს.

დ—ე.

## წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადო ტყვიის-მფრქვეველ მეშვიდე ათასეულის მეორე გუნდის ოფიცრებსა და ჯარის კაცთ, რომელთაც პირადი დასწრებით თუ ფულის შემოწირვით (1944 მან.) პატივი სცეს ჩემ საყვარელ ძმას და მათი ამხანაგის ვანო ელბაქიძის დასაფლავებას.

შ. ელბაქიძე.

---

რედაქტორი ლევან ნათაძე.

## განცხადებანი


### იყიდება

ფანჯრები და ჩარჩოები, 2 სკამი, ორი ტაბურეტკა, ოთხი საკლასო დაფა, რუქები, სურათები საკლასო „სხეტები ზვედისა“, გლობუსი“. პლეხანოვის ქ. № 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5. მაჩაბლის ბინა.

(2812 1—1)

### კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით (შეშხაპუნება „606“ და „914“) და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

### ე. გ. მძინარიშვილისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მასამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (2824—თ.

კბილის ექიმი

### თ. ს. ცხომელიძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. კალოუბნის ქუჩა № 8, ტელეფონი 13—35

(2813 3—1)

ექიმი

### ზ. ი. თურაშვილი

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. ... ქ. № 22, ...

ექიმის

### ი. ა. ტერ-ოჰანჯანოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 28 ვირანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმ. („606“ და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების: საღამოს 5—6 საათ.

(თ. 2577)

ექიმი

### ლ. ა. სარაჯიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის ...

(2283—თ.)

ექიმი

### ა. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. საღამოს. ქ. № 9, ... ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.

(2264—...)

### სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

### მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე.

(2458—თ.)

ექიმი

### გ. ა. ...

სპეციალურად სიფილისი და ... (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ... განოების სნეულებანი. ავადმყოფებს ... დები ყოველ დღე დილის 8—11 ... საღამოს 5—8 საათამდე. ქალები 4—8 ... ქ. № 33.

(1266 25—4)

ოზურგეთში

ექიმი

### ს. ვ. აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლავის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606“. კ. სიამაშვილის სახლში

(თ. 2634.)

ექიმი

### ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურად სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ხივო-მებუთის ქ. № 5. სასახლ. ს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 5—6 ნახ. საათამდე. 2722-...

ექიმი

### ე. ი. ქალანდაძე

ღებულობს, შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს

(2446—თ.

ექიმი

### ნ. ლ. ტურაშვილი

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ექიმთა

### ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.

(თ. 2528)

### სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 15 სექტემბერს დილის 12 საათზე მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით

### საჯარო ვაჭრობით

იჯარით გაიცემა ერთის წლის ვადით ქ. თფილისში დაბინავებულ ჯარის ნაწილების ნაწილებში ხორცის და ცხიმის ჩაბარება.

დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიან მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში, ბარიათინსკის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან შუადღის სამ საათამდის.

(ნ. 3—1)

### გამოვიდა

ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

### „სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

### გაზეთი გამოვა ორშაბათობით

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნას გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშასათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ალ. ლომთათიძე, ივ. გომართელი, ხა. ელიავა